



ვაჟა

კაჭარავა

VAZHA KACHARAVA



ჯემალ პასარაძე



ქართული ოლიმპიური ჩემპიონები  
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenaishvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsiauri**

ტექსტი  
ჯემალ კასრაძე

TEXT  
**Jemal Kasradze**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქცია  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ქელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
მიხეილ ზარგარიანი, ალექსანდრე კოტორაშვილი,  
ჯემალ კასრაძე, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili,  
Jemal Kasradze, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)**

პარტნიორები  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Volleyball Federation**

ISSN 2233-3096  
ISBN 978-9941-0-3432-9

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



2011



ისე, უბრალოდაც რომ ასწიო ხელი, ამისთვის რამდენიმე წლით ადრე, ეზოში კენჭისთვის უნდა წამოგეკრა ფეხი, — ამბობდა ლევ ტოლსტოი.

თუ დიდი მწერლის ერთი შეხედვით გაუგებარ ფრაზას გავაცნობიერებთ, ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა ბავშვობაში, საზაფხულო არდადეგებზე, აუცილებლად უნდა წასულიყო აბაშაში, ხოლო იქაური კარის მეზობელი ალექო ჩოჩია, იმავე მიზეზით, — მაინცდამაინც ქვიშხეთში.

სამკუთხედის შესაკრავად კი იქ შვებულება უნდა გაეტარებინათ რუსთაველის თეატრის მსახიობებს ეროსი მანჯგალაძეს, კოტე მახარაძეს, გიორგი გეგეჭკორს, ბადრი კობახიძეს, გურამ სალარაძეს და სხვებს, რომლებიც თავისუფალ დროს ფრენბურთს ითამაშებდნენ.

ალექო ჩოჩიამ მშობლიურ აბაშაში დაბრუნებისთანავე თავი მოუყარა უბნის ბიჭებს. მოსალოდნელი შედეგის მიუხედავად, თოკიდან ჩამოხსნა გასაშრობად გაფენილი სარეცხი, ბიჭები ორ ჯგუფად გაყო, მოკლედ აუხსნა თამაშის წესები და აბაშის ისტორიაში დასაბამი მისცა სპორტის მანამდე უცნობ სახეობას — ფრენბურთს.

სამწუხაროდ, მემატრიანეს არც ამ თამაშის ანგარიში შემოუნახავს და არც, მით უმეტეს, ის, თუ რამდენ ხანს ემალებოდა სამსახურიდან დაბრუნებულ განრისხებულ დედას ალექო ჩოჩია. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ამ ისტორიული მატჩის ერთ-ერთი მონაწილე ვაჟა კაჭარავა ტოკიოში სწორედ ამ სახეობაში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

ნუ მოგვერიდება იმის თქმა, რომ ალექო ჩოჩიამ ჩააგდო პირველი მარცვალი, რომელიც ისე გაღვივდა, რომ ვაჟა კაჭარავას მსოფლიოს უმაღლესი ტიტული მოაპოვებინა.

„ბავშვობაში ძალიან სუსტი ვიყავი, „შუშისკაცას“ მეძახდნენ. არ მშველოდა არც კურორტები და არც ყველა ბავშვისთვის ავად სახსენებელი თევზის ქონი.

მამა — სოლომონ კაჭარავა ექიმი იყო და ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ როგორმე ხორცი შემესხა. თვითონ თავის დროზე „შევადენში“ ვარჯიშობდა და დაინყო ფიქრი, რომელ სპორტულ სექციაში ჩავები.

ტრამვაის ქუჩაზე, „დინამოს“ სტადიონის გვერდით ვცხოვრობდით. უბანი ფეხბურთით იყო მონამლული. რაც კი დაგორავდა, ყველაფრით



ვთამაშობდით — კონსერვის ქილით დაწყებული და „კამერა-აბალოჩკით“ დამთავრებული.

ერთხანს ჩვენს ეზოში ცხოვრობდა თბილისის „დინამოს“ მეკარე ვალტერ სანაია. სამი წლით უფროს ბიჭებთან ვთამაშობდი, ვალტერს ვბაძავდი — ფეხებში ვუვარდებოდი. ჩვენს ქუჩაზე ქვაფენილი იყო და მუხლები ერთთავად გადაყვლეფილი მქონდა. ერთხელ მაგრად დარტყმულმა ბურთმა ალაყაფის კედელი მოანგრია და აგური თავზე დამეცა. წამომივიდა სისხლი. ატყდა ფანჯრებიდან ქალების წივილ-კივილი. ის ნაიარევი დღესაც მეტყობა. ასე რომ, პირველი სპორტული ტრავმა მივიღე როგორც მეკარემ.

გუშინდელივით მახსოვს: ჩვენს ეზოში ბორია პაიჭაძე შემოვიდა. ნასვამი იყო. შემოვებხიეთ. თავზე ხელი გადაგვისვა. დაგვარიგა — ისწავლეთ, ბიძიკო, ისწავლეთ, მაინცდამაინც ფეხბურთს ნუ გადაყვებითო. მაშინ როგორ ვიფიქრებდი, რომ დადგებოდა დრო და ქართული ფეხბურთის ლეგენდა ისე დამელაპარაკებოდა, როგორც ტოლი — ტოლს.

ძალიან მიყვარდა სპორტული მოედანი. გაკვეთილების შემდეგ მივიდიოდი სტადიონზე, ვჯდებოდი ტრიბუნაზე, ვუყურებდი, როგორ ვარჯიშობდნენ ელენე გოკიელი, ნინო დუმბაძე, ლევან სანაძე და სხვები. მეც მიჩნდებოდა ვარჯიშისა და სხეულის ფლობის სურვილი.

ერთხელაც, დიდი ყოყმანის შემდეგ, მამას გავუბედე, მეკარეობა მინდა-მეთქი. დიდხანს მიყურა და მერე მითხრა: ჩხუბში მოქნეული ვინ მოზომა, ფიზიკურად ძალიან სუსტი ხარ, რამეს მოგტეხავენ და ფეხბურთიც გვერდზე დაგრჩება და ცხოვრებაცო.“

და აი, ბედისწერამ გახუმრება გადაწყვიტა: ვაჟთა მე-12 სკოლაში (ახლა მე-18) მივიდა მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტი, შემდგომში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, არაერთი სახელოვანი მძლეოსნის აღმზრდელი ევგენი ვაგუა. კლასიდან 12 ბიჭი შეარჩია, მათ შორის ვაჟაც, და ათჭიდის სექციაზე ვარჯიში შესთავაზა. განსაკუთრებით მოეწონა ვაჟა, რადგან სიმალლეზე კარგად ხტებოდა და კოორდინაციაც შესაშური ჰქონდა.

ოთხი თვის ვარჯიშის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, ევგენი გაგუამ ბავშვები მიატოვა და გაუჩინარდა. ორმოციოდე წლის შემდეგ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში მისულმა ევგენი გაგუამ ვაჟა კაჭა-

რავას გაუმხილა ბურუსით მოცული ის საიდუმლო. თურმე ნუ იტყვით, ის ჯგუფი სადისერტაციო დაკვირვებისთვის სჭირდებოდა.

„ჩვენი სკოლის რამდენიმე მოსწავლე ფრენბურთის სექციაზე პიონერთა სასახლეში დადიოდა. შემამჩნიეს, რომ კარგად ვხტებოდი და შემომთავაზეს, მეც მევლო სექციაზე. ერთ მშვენიერ დღეს ორ თანაკლასელთან ერთად პიონერთა სასახლეს ვენვიე. ჩემს გადაწყვეტილებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ლეგენდა დადიოდა — გაუქმებულ კათოლიკურ ეკლესიაში ფრენბურთის დარბაზია. იქ მწვრთნელია, ერთი ტანმორჩილი ჭალარა კაცი, მარჯვენა ხელით დარტყმა აკრძალული აქვსო. ალბათ გახსოვთ, ასეთი ლეგენდა ბორის პაიჭაძეზეც იყო გავრცელებული.“

ფრენბურთის მოედანი პიონერთა სასახლის უკან მდებარეობდა. „ლეგენდარულმა“ მწვრთნელმა შოთა მარგიშვილმა სამეულის ვიზიტის მიზანი რომ გაიგო, ეშმაკურად გაიღიმა და უთხრა: აბა, გაიხადეთ, ვარჯიშს შეუდგეთო.

ბიჭები ამისთვის მზად არ იყვნენ, დაიმორცხვეს, მაგრამ შეეშინდათ — რომ არ გავიხადოთ, ვაითუ მწვრთნელმა უარი გვითხრასო. გაიხადეს და სანდლებით, ყოველდღიური ტრუსებითა და წინდებით ჩადგნენ რიგში.

მას შემდეგ თითქმის სამოცი წელი გავიდა და სახელოვანი სპორტსმენი დღესაც სიცილით იგონებს ამ სურათს.

ლეგენდას ფარდა აეხადა — შოთა მარგიშვილი ცაცია აღმოჩნდა.

„ჩვენი მწვრთნელი შოთა მარგიშვილი საქართველოს ფრენბურთელთა თაობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო (ჩვენში ფრენბურთი 1926 წელს შემოვიდა). მგონი თეატრალური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. ჭკვიანი, იუმორით სავსე ადამიანი გახლდათ. იმიტატორის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ყველა ჩვენგანს ისე ზუსტად ბაძავდა, მუცლები ხელით გვეჭირა“.

ოჯახი არაერთგვაროვნად შეხვდა „შუშისკაცას“ გადანყვეტილებას. დედას — შუშანა კოპალეიშვილს — ფრენბურთის გაგონებაც არ უნდოდა. მამამ — სოლომონ კაჭარავამ — მაშინვე ვაჟას დაუჭირა მხარი.

დიდუბიდან კოლმეურნეობის მოედნამდე ათი ნომერი ტრამვაი დადიოდა. მუყაოს ჩემოდანს ვაჟა ვაგონის უკანა ნაწილში, ამოჩემებულ კუთხე-

ში დებდა და ფანჯრიდან უყურებდა კინოკადრებივით ცვალებად ქალაქის ხედებს. „მაშინ კოლმეურნეობის მოედანი პარიზი გვეგონა“.

ზამთარში კათოლიკურ ეკლესიაში ვარჯიშობდნენ. სამ თვეში კუნთები დაეტყო. დედის თვალს ეს არ გამოჰპარვია. ისიც აშკარა იყო, რომ „შუშისკაცა“ ადვილად აღარ ცვიდებოდა.

სპორტულ კარიერას მამა დიდი იმედით უყურებდა. შვილის ვარჯიშს თითქმის არ აცდენდა. მოგვიანებით ასეთი ერთგულებისთვის საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის წევრად აირჩიეს.

„საქართველოში ფრენბურთელთა ხუთ თაობას ვავარჯიშებდი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც ერთი მამა ვარჯიშზე არ მოდიოდა“.

ერთი წლის შემდეგ, ისევე მოულოდნელად, როგორც გაუჩინარდა, ევგენი გაგუა ვარჯიშზე გამოცხადდა.

ერთხანს ყურადღებით ადევნებდა თვალს. შემდეგ მარგიშვილი დაიმარტოხელა და თავისი გულის ნადები გაუმხილა — შენთან ჩემი ბიჭები ვარჯიშობენ, მაგრამ არავინ არ მინდა, მხოლოდ კაჭარავა დამიბრუნეო.

თავის მხრივ, შოთამ უთხრა — ვინც გინდა წაიყვანე, ვაჟას კი ვერ მოგცემო.

გამოცდილმა მწვრთნელმა იმთავითვე შეამჩნია, რომ ამ აწონილ ბიჭში ფრენბურთელის ტალანტი იმალებოდა. არ სჭირდებოდა ამა თუ იმ ილეთის ახსნა და გამეორება. ღრუბელივით ისრუტავდა ყველაფერს, თან ისე, რომ თავისი ხელწერილთა ცამდიდრებდა. მალე გაირკვა, რომ ლიდერის თვისებაც ჰქონდა — შეეძლო გუნდი გამარჯვების ჟინით დაემუხტა.

როგორც წესი, კარგი სპორტსმენები სწავლით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ. ვაჟა კაჭარავა ამითაც განსხვავდებოდა დანარჩენებისგან — სამუალო სკოლა ისე დაამთავრა, არც ერთი ოთხიანი არ გამოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ოქროს ნაცვლად ვერცხლის მედალი გადასცეს. 1955 წელს თბილისის ზოგიერთმა სკოლამ ხელგაშლილობა გამოიჩინა და ოქროს მედალზე წარადგინა 20-25 მოსწავლე. ეს იყო ნონსენსი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი გამოიწვია. საქართველოს განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა ოთხასი (!) მედალოსანი ხელახლა გამო-

ეცადა. გამოცდაზე მივიდა 90 კანდიდატი, მათ შორის ვაჟა კაჭარავაც, მაგრამ მაშინდელმა მინისტრმა გიორგი ჯიბლაძემ სპორტსმენ მედალოსანთა შემონიშნებას მათთან მოლაპარაკება ამჯობინა. ასე დარჩა მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ოქროს მედლის გარეშე — მხოლოდ ვერცხლის მედალი ერგო.

ვაჟა კაჭარავას ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ვარჯიშის დაწყებიდან რვა თვეში 16-წლიანებში ანუ ორი წლით უფროსთა გუნდში გადაიყვანეს.

ყაზანში საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადა იწყებოდა და გუნდი საგანგებოდ ემზადებოდა.

ვაჟამ იმთავითვე ექვსეულში დაიმკვიდრა ადგილი.

პირველი სპარტაკიადა უიღბლო გამოდგა. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა მეთორმეტე ადგილი დაიკავა. ამ ფიასკოს შემდეგ გამოუსწორებელი ოპტიმისტიც კი ვერ იფიქრებდა, რომ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები მომდევნო სპარტაკიადებზე ჯერ მეხუთე (ლენინგრადში), შემდეგ კი მეოთხე (კიევში) ადგილს დაიკავებდა. ამ წარმატებაში ვაჟა კაჭარავას ლომის წილი ედო.

1955-დან 1964 წლამდე საქართველოს პირველობაზე თბილისის „ბურვესტნიკის“ ღირსებას იცავდა. პირველივე წელს, 18 წლის ასაკში, საქართველოს საუკეთესო თავდამსხმელად დაასახელეს და კაპიტნის სამკლაურიც გადასცეს. ეს დიდი აღიარების დასაწყისი იყო.

ღიმილით იგონებს ვაჟა კაჭარავა თავისი ცხოვრების ერთ ეპიზოდს.

„1955 წელს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, კიევში უნდა გავფრენილიყავი. მერე სტალინგრადში მიწვედა ჩასვლა — იქ საბჭოთა კავშირის პირველობა ტარდებოდა და „ლოკომოტივის“ გუნდში უნდა მეთამაშა. მამას იუმორის დიდი გრძნობა ჰქონდა და ასე დამარიგა: ვაჟა, მოდი, სტალინგრადში ნუ ჩახვალ. აბა, მითხარი, როგორ გუნებაზე დადგები, დიქტორი გუნდების შემადგენლობას რომ გამოაცხადებს: სპორტის დამსახურებული ოსტატი კონსტანტინე რევა, სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი ახვლედიანი, სპორტის ოსტატი იური ჩესნოკოვი. შენზე კი იტყვის - პირველთანრიგოსანი ვაჟა კაჭარავა. სად მიდიხარ, რომ მიდიხარო.“

ასეთი უწყინარი ხუმრობით მამა ჩემში სპორტულ ჟინს და პატივმოყვარეობას აღვივებდა.

მამაჩემის დაწყებული დიალოგი სტალინგრადში, იქაური სპორტული გაზეთის კორესპონდენტმა გააგრძელა: ხედავ, რევა როგორ თამაშობს, ოდესმე შესძლებ ასე ოსტატურად ითამაშო?

— რატომაც არა. „ჩემ ია ნე რევა“? — ვივარჯიშებ და ვითამაშებ-მეთქი, — უნდა გენახათ იმ კორესპონდენტის გადარევა.

ეს სიტყვები ისეთი პოპულარული გახდა, მისალმების ნაცვლად მეუბნებოდნენ: „ჩემ ია ნე რევა“?

სხვათა შორის, რევა ზუსტად ჩემსიმაღლე იყო.“

ვაჟა კაჭარავათი კორესპონდენტები უფრო ადრე დაინტერესდნენ. 1954 წლის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე „სოვეტსკი სპორტი“ წერდა: „საქართველოს მოსწავლე ფრენბურთელებში გამორჩეულია მისი კაპიტანი ვაჟა კაჭარავა. ამ ახალგაზრდას აქვს ძალიან ძლიერი და ზუსტი დარტყმა“.

1955 წელს თბილისის „ლოკომოტივმა“ სუსტად იასპარეზა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგა დატოვა. ესტაფეტა თბილისის „ბურევესტნიკმა“ მიიღო. გუნდში მოვიდა ახალგაზრდა თაობა, რომლის უპირობო ლიდერი ვაჟა კაჭარავა იყო.

სიტყვა „პირველი“ ვაჟა კაჭარავას სპორტულ ცხოვრებაში ერთგვარ თილისმად იქცა. მან პირველად ჩატარებულ ყველა დიდ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდევ.

გაიმარჯვა მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში, პირველ მსოფლიო უნივერსიადაში. ყველა შეჯიბრების გვირგვინი იყო გამარჯვება ტოკიოში გამართულ ოლიმპიადაზე, რომლის პროგრამაში პირველად შეიტანეს ფრენბურთი.

სპორტული კარიერის მანძილზე სხვადასხვა რანგის ცხრა ნაკრებში უთამაშია — მოსწავლეთა ნაკრებით დაწყებული და ოლიმპიურით დამთავრებული.

ვაჟა კაჭარავას სპორტული მიღწევები საოცნებოა ბევრი სპორტსმენისთვის, მაგრამ მაინც გვინდა დავსვათ რამდენიმე შეკითხვა: იყო თუ არა

და-ძმა — ვაჟა და ლეილა  
კატარავები მამასთან,  
სოლომონ კატარავასთან  
ერთად. ბაკურიანი,  
1938 წელი



„ბავშვობაში ძალიან სუს-  
ტი ვიყავი, „შუშისკაცას“  
მეძახდნენ. არ მშველოდა  
არც კურორტები და არც  
ყველა ბავშვისთვის  
ავად სახსენებელი  
თევზის ქონი.

მამა — სოლომონ კატა-  
რავა ექიმში იყო და ნემსის  
ყუნწში ძვრებოდა, რომ  
როგორმე ხორცი შემეს-  
ხა. თვითონ თავის დროზე  
„შევიარდენში“ ვარჯი-  
შობდა და დაინყო ფიქრი,  
რომელ სპორტულ  
სექციაში ჩავები“.





დედა — შუმანა  
კობალეიშვილი

და-ძმა — ვაჟა  
და ლეილა კაჭარავები



თანაკლასელები  
(უკანა რიგში, შუაში —  
ვაჟა კაჭარავეა)

ბედის ნებიერი, რამ დასწყვიტა გული, თავიდან რომ დაეწყო სპორტული ცხოვრება, რას გაითვალისწინებდა, რომელ რიფებს აუვლიდა გვერდს.

1957 წლიდან ვაჟა კაჭარავა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო. ორი წლის შემდეგ მთავარ გუნდში დაიმკვიდრა ადგილი. მასთან ერთად მონაწილეობდა რუმინეთსა და იუგოსლავიაში გამართულ ტურნირებში. ყველგან გამოიჩინა თავი.

აი, სწორედ მაშინ შესთავაზეს ნაკრების მწვრთნელებმა მოსკოვში დარჩენილიყო და „დინამოში“ ან ცსკა-ში ეთამაშა. აუხსენეს: მოსკოვში უკეთესად ივარჯიშებ, ჩვენ თვალწინ იტრიალებო. ვაჟამ დიპლომატიურად უპასუხა: ამ ნაბიჯის გადადგმა მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული.

საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ მოსკოველთა წინადადება არ მიიღო — რესპუბლიკური ინტერესები დააყენა წინ.

მშობლებმა ვერაფრით ვერ წარმოიდგინეს, როგორ შეიძლებოდა ვაჟა დიდი ხნით მოშორებოდა ოჯახს.

მთავარი მაინც ის იყო, რას ფიქრობდა თვითონ მთავარი გმირი. მის პასუხში სიტყვა „ფრენბურთი“ ნახსენებიც არ იყო: „თბილისის — ტრამვაის ქუჩის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია“.

ამ მოკლე განცხადებიდან სულ რაღაც ერთ საათში გახარებულმა მამამ შვილს დიდი ხნის ნანატრი რადიომიმლები „ლუქსი“ უყიდა.

მერე მოხდა ის, რომ 1960 წელს ბრაზილიაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა და რატომღაც ვაჟას გამოძახება დაავიწყდათ.

სკლეროზი დაემართათ ორი წლის შემდეგაც. ამჯერად მოსკოვში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი და კვლავ ვაჟას გარეშე მოიპოვეს უმადლესი ტიტული.

მსოფლიო ჩემპიონის მეორე ოქროს მედალი რომ დაკარგა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“. საქმე ის არის, რომ მოსკოვის ჩემპიონატს წინ უსწრებდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ჩინეთში უნდა გამართულიყო. სტალინის კულტის გამო, ამ ქვეყანას საბჭოთა კავშირთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონ-

და. ტურნირი აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოელების წაგება არ შეიძლებოდა. სწორედ ამიტომ ნაკრების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს საუკეთესო ძალების მობილიზება და, ცხადია, შეკრებაზე ვაჟა კაჭარავაც გამოიძახეს.

სამწუხაროდ, თბილისში დეპეშა დამალეს — მალევე ტარდებოდა საკავშირო უნივერსიადა, რომელშიც გეპეის გუნდიც მონაწილეობდა. მისი სული და გული კი გახლდათ ვაჟა კაჭარავა.

შეკრებაზე ვაჟას გამოუცხადებლობა საბჭოეთის დედაქალაქმა ვარსკვლავურ ქედმალლობად ჩათვალა და ურჩი ფრენბურთელი იმით დასაჯა, რომ მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე აღარ გამოიძახა.

ზენიტში მყოფი სპორტსმენისთვის ამაზე გულდასაწყვეტი რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფორტუნამ ბოლომდე მაინც არ გასწირა თბილისზე და ტრამვაის ქუჩაზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟა კაჭარავა.

ამას მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით.

მანამდე შემოგთავაზებთ ნაწყვეტს არჩილ გოგელიას ნარკვევიდან „ვაჟა კაჭარავა“.

„ამბობენ და სწორადაც ამბობენ, ნამდვილ ნიჭს ვერავითარი დაბრკოლება, ვერავითარი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები ვერ შეაჩერებსო. იგი, ეს ნიჭი, ჩვეულებრივ კალაპოტს არ ეძებს, პოულობს სხვა, დანარჩენებისთვის უცხო მიმართულებას და შეუწინებლად ვითარდება: ცხადია, დიდ შრომასთან და ჯაფასთან ერთად, რადგან შრომისმოყვარეობა ნიჭის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი გახლავთ, თუ, საერთოდ, უმთავრესი და გადამწყვეტი არაა. ყოველ შემთხვევაში, ვაჟა კაჭარავა, ფრენბურთში ფეხის შედგმისთანავე, ჭიანჭველასავით მშრომელ და დაულალავ სპორტსმენად იქცა. ესეც, როგორც ვთქვით, ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი ნიჭიერების ერთი მკაფიო გამოვლინებაა.

ამ შრომასთან, ნიჭთან ერთად, ვარჯიშის დაწყებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, ანუ 1953 წელს, იგი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის ძირითად მოთამაშედ იქცა. გაივლის კიდევ ორი წელი და კაჭარავას, 18 წლის ყმანვილს, უმაღლეს ლიგაში მოასპარეხეს, თბილისის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ვიხილავთ“.

1956 წელი დიდი მოვლენით აღინიშნა საბჭოთა სპორტული მოძრაობის ისტორიაში. დასაბამი მიეცა გრანდიოზულ შეჯიბრებას — საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადას.“ (თუმცა ამავე სახელწოდებით 1928 წელსაც ჩატარდა შეჯიბრება, რომელშიც 7 000 საბჭოთა სპორტსმენთან ერთად მონაწილეობდა ინგლისის, უნგრეთის, გერმანიის, შვედეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და იტალიის ექვსასამდე სპორტსმენი — ჯ.კ.).

სპარტაკიადაზე ასობით წარგზავნილთან ერთად, საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრების წევრს ვაჟა კაჭარავასაც მოუხდა ასპარეზობა: „საქართველოს ცენტრალური კომიტეტი, სპორტკომიტეტი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩვენი სპორტული დელეგაცია ღირსეულად გამოსულიყო. მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს ქართული საფრენბურთო სკოლის აღზრდილი გივი ახვლედიანი, რომელსაც მწვრთნელობა ახალი დაწყებული ჰქონდა.

გივი ფრენბურთს თამაშობდა თბილისის „ნაუკასა“ და „ლოკომოტივიში“. 1952 წლიდან მიიწვიეს ცსკა-ში. საბჭოთა ფრენბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში ჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა (1951), შემდეგ — მსოფლიოსი (1952).

1960-70-იან წლებში იყო საბჭოთა კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრებების, ასევე მოსკოვის ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი. მისი მწვრთნელობის დროს საბჭოთა ქალთა ნაკრები 1968 წელს მეხიკოში და 1972 წელს მიუნხენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. 1960-1962 წლებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა საბჭოთა ვაჟთა ნაკრებიც.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ XX საუკუნის ქალთა გუნდების საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. 2003 წელს კი (ამავე წელს გარდაიცვალა) ფრენბურთის დიდების დარბაზის წევრად აირჩიეს.

აი, ასეთი ფენომენალური ნიჭის ფრენბურთელი და მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში 1956 წელს საქართველოს სასპარტაკიადო გუნდს.

„მოსკოვში, სპარტაკიადაზე, ჩვენი გუნდი სერიოზულ მიზანს ისახავდა. დაკომპლექტებული იყო ძირითადად თბილისის „ლოკომოტივისა“ და „ქარიშხალას“ ფრენბურთელებით. გუნდში ჩემთან ერთად იყვნენ კუკუერი



მუსხელიშვილი, იგორ ბოიკო, თამაზ კუჭავა, დავით გოცირიძე, ალიკ ჟიგულინი, სტანისლავ ბუინოვი, ვლადიმერ გავრილენკო, იაგო მიხანაშვილი, როლანდ ლონლაძე და ედუარდ ობიტკო. პირველ მატჩში ესტონეთის ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. მომდევნო შეხვედრაში თურქმენეთის სუსტ გუნდს, ორი პარტიის მოგების შემდეგ, მომდევნო სამ პარტიას 14:30 ვუგებდით და სამივე წავაგეთ. მიზეზი — ქართული ხასიათი. გავედით თავდაჯერებულები, არაფრად ჩავაგდეთ მონინალმდეგე. ამ წაგებამ ფსიქოლოგიურად გაგვანადგურა. საბოლოოდ სპარტაკიადაზე მეათე ადგილზე გავედით და სამშობლოში ყურებჩამოყრილები დავბრუნდით“.

ამ სპარტაკიადაზე საკუთარი გვარის გამო 19 წლის ვაჟა კაჭარავას კურიოზი შეემთხვა: „სპარტაკიადაზე დაგვირიგეს შეჯიბრებაში მონაწილის ბარათი, რომლითაც ტრიბუნაზე ჩვენთვის განკუთვნილ ადგილებზე ვსხდებოდით. ეს ბარათი დღევანდელი აკრედიტაციის წინამორბედი იყო, ოღონდ ფოტოს გარეშე. აბა, სად იყო მაშინ საამისო პირობები... სამაგიეროდ, დიდი სიმკაცრე იყო. სტალინი სამი წლის გარდაცვლილი გახლდათ და წესრიგის ინერცია ჯერ კიდევ არსებობდა.

და აი, სარბიელზე შესვლისას, როცა მილიციელმა ჩემს ბარათს დახედა, ხელი მტაცა და განყოფილებაში მიმამბრძანა: აბა, მოგვახსენე, ვის მოპარე ეს ბარათიო. ჩემია-მეთქი. ამაზე უფრო მეტად დამიბრიალა თვალები.

— ვის ატყუებ! აქ გარკვევით წერია, რომ ქალისაა: კა-ჩა-რა-ვა, — დამარცვლით ამოიკითხა მილიციელმა და ბარათი თვალებზე ამათარა.

*ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — სსრ კავშირის ფრენბურთელთა ნაკრები. პირველ რიგში, მარჯვნიდან მეორე — ვაჟა კაჭარავა*

— ამხანაგო მილიციელო, კაჩარავა მე ვარ-მეთქი.

ამაზე კიდევ უფრო მეტად შემომიბღვირეს — როგორ არ ტყდებო. შევატყვე, ცუდად იყო ჩემი საქმე.

სწორედ ამ დროს განყოფილებაში დაფეთებული შემოვარდა მოსკოვის „დინამოში“ ჩემი მომავალი მწვრთნელი სერგეი გავრილოვი. რა გინდათ ამ ბიჭისგან, რას ერჩითო.

გავრილოვს შორიდან დაუნახავს, როგორ წამიყვანა მილიციელმა და დასახმარებლად გამოიქცა. როცა აუხსნეს, რასაც მერჩოდნენ, გავრილოვმა უთხრა:

— ამ ბიჭს კარგად ვიცნობ. მისი გვარი, თქვენ რომ ქალის გგონიათ, ქართულად სწორედ ასე იწერება და იკითხებაო.

...ქართული ფრენბურთის ბედ-იღბალი ძალიან იყო დამოკიდებული იმაზე, დარჩებოდა თუ არა გივი ახვლედიანი თბილისში.

სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, მოსკოვში დაბრუნდა.

შეიძლება ზოგიერთი არც დამეთანხმოს, მაგრამ ფიასკო, რომელიც შვიდი წლის შემდეგ განიცადა ქართულმა ფრენბურთმა, გივი ახვლედიანის წასვლას უკავშირდება. მისი წასვლა ფარული დარტყმა გამოდგა. გივი მოვლენა იყო მსოფლიო ფრენბურთში. მას შესწევდა ძალა ქართული ფრენბურთი აელორძინებინა. ის არ დაუშვებდა, რომ სპორტის ეს ულამაზესი სახეობა საქართველოში ხელოვნურ სუნთქვაზე ყოფილიყო“.

შეუძლებელია არ დაეთანხმო ისეთ დიდ ავტორიტეტს, როგორც ვაჟა კაჭარავა. მეორე მხრივ, ალბათ პარადოქსია, რომ ქართულმა ფრენბურთმა სწორედ მომდევნო შვიდ წელიწადში მიაღწია პიკს, რომელიც არც მანამდე და არც შემდეგ აღარ განმეორებულა.

1958 წელს თბილისის „ბურევესტნიკმა“ დატოვა უმაღლესი ლიგა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრისას გუნდის ლიდერი ვაჟა კაჭარავა უხერხულად დაეცა და ფეხი მოიტეხა.

ხუთი თვე თაბაშირით დადიოდა. ბატონმა სოლომონმა ნაცნობ ექიმთან მიიყვანა. ექიმმა გულმოდგინედ გასინჯა და... რა ფრენბურთი, რის ფრენბურთი, შეიძლება მალე საერთოდ ვეღარ იაროო.

ასეთმა „ოპტიმისტურმა“ პროგნოზმა პაციენტი ისე გააბრაზა, რომ ჯოხი შორს მოისროლა, თავისი ავადმყოფობა კი მხოლოდ 1975 წელს მოაგონდა, როდესაც, ამჯერად როგორც მწვრთნელმა, მოიტეხა იგივე ფეხი.

„60-იანი წლების დასაწყისში ფრენბურთში უძლიერესი თაობა მოვიდა. 1960 წელს საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დავბრუნდით და პირველივე წელიწადს მეხუთე ადგილზე გავვდით. ჩვენი გუნდი, თამამად ვიტყვი, ყველაზე უკეთესი იყო XX საუკუნის საქართველოში.

თუმცა ტალანტები ქართულ ფრენბურთს არც მანამდე აკლდა. ომამდე თბილისის „ნაუკა“ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ხუთეულში შედიოდა. 1938 წელს ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ორი წლის შემდეგ კი — ბრინჯაოსი.

ჩვენი თაობა პატივს სცემდა ისეთ დიდ ავტორიტეტებს, როგორებიც იყვნენ კონსტანტინე ლომინაძე, ალექსანდრ იაკუშევი, გივი ახვლედიანი, სერგო ტარახჩიანი, ევგენი რომანიანი, ლუდვიგ ავალიანი, თორნიკე ყიფიანი და სხვები.

1938 წელს კონსტანტინე ლომინაძემ საბჭოთა კავშირში პირველად შესარულა ძალისმიერი გვერდული მოწოდება და დარტყმა ე. წ. კაუჭით, გივი ახვლედიანმა — თავდასხმითი დარტყმა სამმეტრიანი ხაზის გარედან, სერგო ტარახჩიანმა ასევე პირველად მიიღო ნახტომით მოწოდებული ბურთი. ეს ილეთები ფრენბურთის სახელმძღვანელოებშია შესული.

ჩემი თაობა დიდად დავალებულია იმ საფრენბურთო ტრადიციებისგან, რომლებიც ჩვენმა წინამორბედებმა შექმნეს...

1963 წელს ბრაზილიაში, ქალაქ პორტო ალეგროში, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე, საბჭოთა ნაკრებში ოთხი თბილისელი თამაშობდა: სტანისლავ ბუინოვი, ედუარდ აბიდკო, ვლადიმერ გავრილენკო და მე. ამდენი წარმომადგენელი არც ერთ რესპუბლიკას არ ჰყავდა. იმაში, რომ საბჭოთა გუნდი ჩემპიონი გახდა, ლომის წილი ქართული ფრენბურთის სკოლის აღზრდილებმა შევიტანეთ“.

ვაჟა კაჭარავამ ორი წლის შემდეგ სოფიაში გამართულ პირველ ანალოგიურ შეჯიბრებაზეც მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

სიტყვა „პირველი“ ვაჟა კატარავას სპორტულ ცხოვრებაში ერთგვარ თლისმად იქცა. მან პირველად ჩატარებულ ყველა დიდ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდევ. გაიმარჯვა მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში, პირველ მსოფლიო უნივერსიადაში. ყველა შეჯიბრების გვირგვინი იყო გამარჯვება ტოკიოში გამართულ ოლიმპიადაზე, რომლის პროგრამაში პირველად შეიტანეს ფრენბურთი.



მოსკოვის „დინამო“.  
მარცხნიდან პირველი  
— ვაჟა კატარავა.  
ჰავანა, 1967 წელი





სსრ კავშირის III  
სპარტაკიადაზე  
საქართველოს ნაკრებმა  
III ადგილი დაიკავა.  
მოსკოვი, 1963 წელი



საქართველოს  
მოსწავლეთა ნაკრები.  
მარცხნიდან პირველი —  
გუნდის კაპიტანი  
ვაჟა კაჭარავა

1963 წელს მოსკოვმა საბჭოთა კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკი-  
ადას უმასპინძლა. საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები მთლიანად  
„ბურევესტნიკის“ მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული.

ვაჟა კაჭარავასთან ერთად გუნდის ლირსებას იცავდნენ ნიკოლოზ  
მუსხელიშვილი, იაგო მიხანაშვილი, ვლადიმერ გავრილენკო, ლეონიდ ჟი-  
გულინი, დავით გოცირიძე, თამაზ კუჭავა, როლანდ გონგაძე, სტანისლავ  
ბუინოვი, ნიკოლოზ ტრიალოფელიდი და ედუარდ ობიდკო (მწვრთნელი  
არმენაკ ტევოსიანი).

„უკიდურესად კრიტიკული იყო ჩვენი შეხვედრა უკრაინელებთან. მო-  
გების შემთხვევაში უკრაინა ჩემპიონი ხდებოდა. საქართველოს გუნდი  
კი, მშრალი ანგარიშით რომ გაემარჯვა, მესამე ადგილზე გადიოდა. ერთი  
პარტიის წაგებაც კი მეექვსე ადგილს უდრიდა.

ყველანაირი კანონზომიერებით, უკრაინელებს ჩემპიონობა მოპოვე-  
ბული ჰქონდათ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ქართველები განწყობის ხალხი  
ვართ, ერთ თამაშს ნებისმიერ მეტოქეს მოვუგებთ.

მინდა გავიხსენო 1961 წელი, როცა თბილისის სპორტის სასახლეში ჩე-  
ხოსლოვაკიის ნაკრები დავამარცხეთ — 3:2. არადა, იმ დროს ჩეხოსლოვაკიის  
გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი იყო — 1956 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ჩვენი შეხვედრით ისე დაინტერესდა საქართველოს ტელევიზია, რომ  
მთელი მატჩის რეპორტაჟი გადასცა.

მაშინაც სპარტაკიულადაზე ისეთივე განწყობით გავედით, როგორც ჩე-  
ხოსლოვაკიელებთან. თამაში ღია მოედანზე დავიწყეთ. მართლაც თავი  
გავიგიჟეთ — ყველაფერი გამოგვდიოდა. ისეთი აღმაფრენით ვთამაშობ-  
დით, უკრაინელები ჩვენი გამჩერებლები არ იყვნენ.

უცებ ცა მოიქუფრა, ტყვიისფერი ღრუბლები ჩამოწვა. გაავდრდა —  
შხაპუნა წვიმა წამოვიდა.

თამაში შეწყდა. ორგანიზატორებმა მატჩი დარბაზში გადაიტანეს.  
ეს კი უკრაინელების ნისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან, როგორც წესი,  
ასეთ დროს ბედის ჩარხი შეტრიალდება ხოლმე. მაგრამ, როგორც ჩანს, იმ  
დღეს ზებუნებრივ ძალებსაც არ შეეძლო ჩვენი გაჩერება: მატჩი მშრალი  
ანგარიშით მოვიგეთ.

ეს ნამდვილი სასწაული იყო. ჩვენი უკრაინელი კოლეგები დღესაც იხსენებენ — ეს რა დღეში ჩაგვაგდეთო”.

1963 წელს ვაჟა კაჭარავას ცხოვრებაში კიდევ ორი მნიშვნელოვანი ამბავი ხდება — ერთი სამწუხარო, მეორე სასიხარულო.

ამ წელს ქართულ ფრენბურთში მრავალწლიანი კრიზისი დაიწყო.

სასიხარულო კი ის გახლდათ, რომ ვაჟა კაჭარავა გაბედნიერდა, უფრო პროზაულად თუ ვიტყვით, ცოლი შეირთო.

„სვეტლანა ნიკოლაევა 1960 წელს გავიცანი ლესელიძეში. მოდელიერი იყო, მოსკოვში მუშაობდა. სამი წლის შემდეგ შევირთე, რადგან ბავშვს ელოდებოდა. ამავ ეწვევინა გოგონა, რომელსაც დედამისის სახელი გადავუთარგმნე და ნათელა დავარქვი. ცხრა წლის შემდეგ მე და სვეტლანა დავშორდით.

მყავს შვილიშვილი ანასტასია.

სამწუხაროდ, იშვიათად ვახერხებ მოსკოვში ჩასვლას“.


1964 წელი განსაკუთრებული იყო ვაჟა კაჭარავას სპორტულ ბიოგრაფიაში. პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, რომელიც ტოკიოში უნდა გამართულიყო, სპორტის სხვა სახეობების გვერდით ფრენბურთსაც აუნთეს მწვანე შუქი.

„ოლიმპიადისთვის მზადება მოსკოვში იანვრიდან დავიწყეთ. 25 დღე ვვარჯიშობდით. ხუთი დღით სახლში გვიშვებდნენ.

კუბერტენის დევიზი, რომ ოლიმპიადაზე მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება, ჩვენი მწვრთნელისა და ზოგადად საბჭოთა ფუნქციონერებისთვის სრულიად მიუღებელი იყო. თუმცა ხატზე დავიფიცებ — ყველა ქვეყანა ჩვენსავით ფიქრობდა. ამის დასტურია ის შედარებით დაბალი სპორტული შედეგები, რომელსაც ნერვული დაძაბულობის გამო ოლიმპიადებზე აჩვენებენ სპორტსმენები.

შეკრებაზე ბევრ სპორტსმენს ღრღნის ეჭვი — ნაიყვანენ თუ არა შეჯიბრებაზე. ამ ფაქტორს უარყოფითი მხარე აქვს. ნაკრების კანდიდატი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ მწვრთნელს თავი მოაწონოს, დაუმტკიცოს, რომ საუკეთესო ფორმაშია. ეს კი ფსიქოლოგიურად ღლის, ფიტავს.

ამ მხრივ მე თავი ქუდში მქონდა. ნაკრების კაპიტანმა იური ჩენსოკოვმა ფარულად გამიმხილა, კონკურენცია არ შეგეხებაო. მშვიდად ვვარჯიშობდი.



იმას, რასაც ახლა  
ვაჟა კახარავა აკეთებს  
„მოტყუებით დარტყმა“  
ჰქვია. ვაჟა ამ დარტყმის  
ერთ-ერთ საუკეთესო  
შემსრულებლად  
ითვლებოდა მსოფლიოში

ტოკიოში ოლიმპიადის გახსნამდე სამი დღით ადრე, 7 ოქტომბერს ჩავფრინდით. მანამდე ათი დღე ხაბაროვსკში გვქონდა შეკრება.

საბჭოთა დელეგაციას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვანს, ორი კორპუსი დაუთმეს. ოლიმპიურ სოფელში მგზავრობისთვის ანუ სპორტსმენთა მომსახურებისთვის სამი ათასი ველოსიპედი გამოყვეს.

ველოსიპედთან დაკავშირებით ერთი კურიოზი მოხდა. ოლიმპიადაზე გამარჯვებული ზემძიმენონოსანი ლეონიდ ჟაბოტინსკი სიხარულისგან ველოსიპედზე ამხედრდა და მსუბუქი წონის ძალოსანი, მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრ ვახონინი, რომელმაც მოიგო პირველი ოქროს მედალი, კისერზე შემოისვა. ცხადია, ველოსიპედმა ასეთ სიმძიმეს ვერ გაუძლო და გატყდა.

იაპონელებმა თავი იმართლეს — თქვენს (ჟაბოტინსკის მიმართეს) სიმძიმეზე კი გავთვალეთ, მაგრამ თუ კიდევ ვინმეს დაიმატებდით, ეს ველარ გავითვალისწინეთო.

ტიმპერატურა 20 გრადუსი იყო, მაგრამ მაღალი ტენიანობის გამო ვოფლიანდებოდით. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ოლიმპიურ სოფელში ვაჟთა და ქალთა კორპუსები მავთულხლართებით იყო გაყოფილი.

აღბათ ისიც საინტერესოა, რომ ტოკიოში ოლიმპიური ცეცხლი აანთო 19 წლის იაპონელმა სტუდენტმა საკაიმ. საკაი სპორტში არაფრით არ გახლდათ გამორჩეული. საპატიო მისია იმან განაპირობა, რომ ატომური დაბომბვის დროს ხიროსიმაში დაიბადა. ეს იყო იმის შეხსენება, რომ მსოფლიოში ომი აღარ უნდა განმეორებულიყო.

ოლიმპიური დროშის აღმართვის შემდეგ, მონანილეთა რაოდენობის შესაბამისად, ცაში ერთბაშად აიჭრა რვა ათასი მტრედი“.

ტოკიოში ჩემპიონის ტიტულს ფრენბურთელთა ათი გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს. სამი თამაშის შემდეგ გუნდები ისვენებდნენ. საბჭოთა ნაკრებმა მშრალი ანგარიშით დაამარცხა რუმინეთის, ნიდერლანდების, სამხრეთ კორეისა და უნგრეთის ნაკრებები. ჩეხოსლოვაკიას მინიმალური ანგარიშით (3:2) მოუგო. მხოლოდ ერთი მატჩი დათმო მასპინძლებთან (1:3).

თამაშები რომ დაძაბულად მიმდინარეობდა, ამის დასტურია ის, რომ საბჭოელებმა რუმინელებთან ერთ პარტიაში 7 მონოდება გააფუჭეს. ვა-

ყას გუნდი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ რუმინელებმა 11 (!) მონოდება ვერ მოახვედრეს მოედნის კვადრატში.

ჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა, როდესაც იაპონელებმა მშრალი ანგარიშით წააგეს ჩეხოსლოვაკიელებთან.

ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში საბჭოთა ნაკრებს შანსი გაუჩნდა — დარჩენილი მატჩები აშშ-თან, ბულგარეთთან და ბრაზილიასთან მშრალი ანგარიშით უნდა მოეგო.

ამ რთულ მისიას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ გუნდის ლიდერი იური ჩესნოკოვი რუმინელებთან მატჩში უხერხულად დაეცა და იდაყვი იტკინა. მიუხედავად იმისა, რომ მკლავი გაუსივდა, მაინც გამოდიოდა მოედანზე.

წინ უაღრესად რთული თამაშებია და სანამ ფრენბურთელთა შერკინება აპოგეას მიაღწევს, წუთშესვენება გამოვაცხადოთ და ოლიმპიურ კულისებს ვენვიოთ.

„იაპონიაში ოლიმპიადის წინა წელს გუნდთან ერთად ვიყავი შეკრებაზე. მაშინ გავიცანი ტოკიოს უნივერსიტეტის სტუდენტი, კავკასიოლოგი კოიჩი ინოუ. ძალიან აინტერესებდა საქართველო და თითო-ორიოჯა ქართულ სიტყვასაც ამტვრევდა. თბილისიდან რამდენჯერმე „ორერას“ ფირფიტები და ქართული სახელმძღვანელოები გავუგზავნე.

და აი, კოიჩიმ ოლიმპიური სოფლის კლუბში მომაკითხა. მაშინ ამერიკელებთან დაძაბული ურთიერთობა გვქონდა და ამიტომ სხვადასხვა მხარეს ვისხედით.

იმ დროს ძალიან პოპულარული იყო ტვისტი. სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენმა თომასმა (ეს ის თომასია, რომელიც რომის ოლიმპიადაზე რობერტ შავლაყაძემ დაამარცხა, ხოლო ტოკიოში — ვალერი ბრუმელმა — ჯ.კ.) საცეკვაოდ გაიწვია თანაგუნდელი ბირთვის მტყორცნელი ქალი. ორივე აშოლტილი იყო. მათ ყურებას არაფერი სჯობდა.

დაამთავრა თუ არა წყვილმა ცეკვა, ამერიკელებს გამოეყო ტანმორჩილი წყალში მხტომელი გოგონა. „დაარღვია“ საბჭოთა კავშირის „საზღვარი“ და ჩემს გვერდით მჯდომ ანზორ კიკნაძეს დაუკრა თავი — ვიცეკვოთო.

ანზორმა ალბათ ერთი კი გაიფიქრა, იდეოლოგიურ მონინააღმდეგესთან რომ ვიცეკვო, კაგებეს რა პასუხი გავცეო, მაგრამ ხელი ჩაიქნია და

მორჩილად გაჰყვა პარტნიორს. მთავარი ის არის, რომ ანზორი ტვისტის ბაიბურში არ იყო. თავიდან დაირცხვინა კიდეც, მერე კი იხტიბარი აღარ გაიტეხა. ანზორის ის ცეკვა ძალიან ჰგავდა „კავკასიელ ტყვე ქალში“ მორგუნოვი სიგარეტის ჩაქრობით რომ ასწავლის ტვისტის ცეკვას.

მთელი დარბაზი სიცილისგან ერთმანეთს აწყდებოდა. მე, სიცილით დაოსებული, მაგიდის ქვეშ მიპოვეს.

ცეკვის დამთავრების შემდეგ ანზორმა პარტნიორი მიაცილა, ხელზე ეამბორა და საერთო აპლოდისმენტების თანხლებით შემოგვიერთდა. დარბაზი ისევ შთაბეჭდილების ქვეშ იყო, როცა ჩემი ნაცნობი იაპონელი ანზორს ფეხებთან ჩაუცუცქდა და მეგრულად მიმართა: ჰოი, სირცხვილო, სად არის შენი სინითლე. ეს იყო ნაწყვეტი შექსპირის სონეტიდან.

ანზორი მისვდა, რომ ოინი ჩემი მომზადებული იყო და თითი დამიქნია!..“

ოლიმპიური თამაშები ფრენბურთში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. საბჭოთა ფრენბურთელებმა მორიგი მატჩი მოუგეს ბრაზილიელებს — 15:7, 15:6, 15:9.

ამაოდ ვეძებდი მაშინდელ „ლელოში“ ფრენბურთელთა მატჩების მიმოხილვას. მხოლოდ ბულგარელებთან თამაშის მოკლე ანგარიშს წავაწყდი 24 ოქტომბრის ნომერში სათაურით — „კიდევ ერთი გამარჯვება ფრენბურთის ბადესთან“.

„ბოლოსწინა შეხვედრა ფრენბურთელ ვაჟებს ბულგარელ სპორტსმენებთან ჰქონდათ. მატჩი ჩვენების გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

მათ იოლად მოიგეს პირველი პარტია — 15:2, ხოლო მეორე და მესამე პარტიაში მეტოქის წინააღმდეგობას წააწყდნენ.

ანგარიშში სხვაობა დიდხანს 1 ქულას არ აღემატებოდა. როცა ანგარიში 14:14 იყო, გუნდებმა „თავაზიანად“ დაუთმეს ერთმანეთს მოწოდება. და მაინც, „ბედის სასწორი“ საბჭოთა ფრენბურთელების მხარეს გადაიხარა — 16:14.

მესამე პარტიაში ბულგარელებმა ყველაფერი ილონეს და დანინაურდნენ კიდეც — 12:9, მაგრამ ბუგანკოვის, კაჭარავას და ჩესნოკოვის ძლიერმა დარტყმებმა მათი უპირატესობა ნაცარტუტად აქცია.

ლონიერი დარტყმით გუნდს უკანასკნელი, მეთხუთმეტე ქულა შესძინა კოვალენკომ — 15:13.

ჩვენი გუნდის ძირითადმა კონკურენტმა ჩეხოსლოვაკიელებმა მოუგეს ნიდერლანდებს — 3:1“.

ამავე ნომერში, პირველ გვერდზე, დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის ფრენბურთელთა ფოტო მშრალი ინფორმაციით.

„ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრაში, საბჭოთა კავშირის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში მშრალი ანგარიშით (15:6, 15:5, 15:4) დაამარცხა ბრაზილიის გუნდი და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ნ. მიხეევი (მწვრთნელი), ს. ლუგაილო, ვ. კაჭარავა, ე. სიბირიაკოვი, ვ. კალაჩიხინი, ი. ვენგეროვსკი, გ. მონზოლევსკი, ნ. ბურობინი, ი. პოიარკოვი, ი. ბუგაენკოვი, ი. კლემჩევი (მწვრთნელი), ვ. კოვალენკო, ი. ჩესნოკოვი, დ. ვოსკობოინიკოვი“.

ტოკიოს ოლიმპიადის ტრიუმფატორებს, მათ შორის ფრენბურთელებს, საზეიმო მიღება გაუმართეს კრემლში. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლოზ კოსიგინმა პირადად მიულოცა გამარჯვებულ სპორტსმენებს წარმატება და კიდევ ერთხელ აღნიშნა საბჭოთა სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. თუმცა საბჭოელებმა 30 ოქროს მედალი მოიპოვეს, ამერიკელებმა — 36.

მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე — რას განიცდიდით ოქროს მედელების გადმოცემისასო, ვაჟა კაჭარავამ უპასუხა: „მიჭირს პასუხის გაცემა. შეუძლებელია ზუსტად გადმოცემა იმ სულიერი მდგომარეობისა. გარკვეულწილად იყო სიხარული და ბედნიერების შეგრძნება, მაგრამ ის, რაც მეცხრე ცაზე ყოფნას ნიშნავს, არ განმიცდია, რადგან ერთდროულად მქონდა სიცარიელისა და სინანულის განცდაც იმის გამო, რომ ყველაფერი დამთავრდა. ამას უერთდება გაკვირვების გრძნობაც: ნუთუ მე, ჩვენი გუნდი, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. უფრო უკეთ რომ გადმოსცე მაშინდელი განცდების გამა, ალბათ მწერალი უნდა იყო“.

თბილისში მიცემული ინტერვიუ:

— თქვენთვის სასიხარულო წუთები ოლიმპიადასთან არის დაკავშირებული?

— არა, ასე არ არის. რა თქმა უნდა, ოლიმპიადა ყველაზე მაღალი რანგისაა, მაგრამ სასიხარულო ნუთი ბევრი მქონია და არა მხოლოდ ოლიმპიადაზე. მე ამას ქეშმარიტების მომენტს ვუნოდებ, როცა შენი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა აბსოლუტურ ჰარმონიას აღწევს და გრძნობ, რომ ყველაფერი შეგიძლია.

ასეა ცხოვრებაში და ასევეა სპორტში. მაშინ შენ ვერაფერი დაგაკავებს და სულ ერთია, როგორი მეტოქეა ბადის გადაღმა.

ეს აღმაფრენის ნუთებია და შენ ყოვლისშემძლე ხარ. ასეთი შეგრძნება ბევრჯერ მქონია.

გაზიარებული სიხარული ორმაგი სიხარულიაო, — ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს ბევრი ულოცავდა. მათ შორის იყვნენ ავსტრალიელი მეხანძრეებიც კი: „გილოცავთ ოლიმპიურ ჩემპიონობას. თქვენს თამაშს რომ ვუყურებდით, აღფრთოვანებას ვერ ვმაღავდით“.

ფარული მღელვარებით ელოდა ვაჟა კაჭარავა შეხვედრას მშობლიურ თბილისში. ოლიმპიური ჩემპიონი მოსკოვიდან ხუთი დღის შემდეგ დაბრუნდა. მშობლები, ნათესავები, მეზობლები, მეგობრები აღტაცებით შეხვდნენ გამარჯვებულს. იყო ხვევნა-კოცნა, ცრემლები, მილოცვები...

რაც შეეხება სპორტის მესვეურებს, ოფიციალურად — ვინმეს მხარზე ხელიც რომ მოეთათუნებინა, იმდენად უჩვეულო იქნებოდა, აუცილებლად დამამახსოვრებოდაო — ცოტა არ იყოს, გულნატკენმა გაგვიმხილა ბატონმა ვაჟამ.

ასეთივე გულისტკივილით ლაპარაკობს იმაზეც, რომ 1991 წლამდე ქართულად არ ჰქონდა არანაირი საბუთი იმისა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი იყო.

გთავაზობთ 1965 წლის 8 იანვრის „ლელოში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს რუბრიკით „სამი შეკითხვა ოლიმპიურ ჩემპიონებს“.

— რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად ტოკიოში?

— იაპონია და იაპონელები. აღმაფრთოვანა იაპონელების სტუმართმოყვარეობამ, შრომისმოყვარეობამ და კულტურამ. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რარიგ პოპულარობით სარგებლობს სპორტი იაპონიაში და როგორ ცდილობენ იქაური სპორტის მესვეურებიც, კიდევ უფრო გაზარდონ სპორტის პოპულარობა.



სსრ კავშირის  
ფრენბურთელთა  
ნაკრები ლონდონში.  
მარცხნიდან პირველი —  
ვაჟა კაჭარავა. 1965 წელი

ყველა განცვიფრებული იყო იმ ნაგებობებით, რომლებიც იაპონელებ-  
მა საგანგებოდ ოლიმპიადისთვის ააგეს.

...ან კიდევ ასეთი მაგალითი: ფრენბურთელთა ტურნირებზე (და ბევრ  
სხვა შეჯიბრებაზე) ყველაზე ორგანიზებული, ბეჯითი, ცნობისმოყვარე  
მაყურებლები იყვნენ ბავშვები. მთელი ადგილების დაახლოებით მეოთ-  
ხედი (ეს მაშინ, როცა ბილეთების შოვნა ძნელი გახლდათ) ეკავათ შავ სა-  
ფორმო ტანსაცმელში გამონყობილ გოგონებსა და ბიჭუნებს. სკოლიდან  
ისინი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, უფროსების მეთვალყურეობით. ყვე-  
ლაზე ადრე იკავებდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს, წყნარად ის-  
ხდნენ და გაფაციცებული ადევნებდნენ თვალს შეჯიბრებას.

— რომელმა სპორტსმენმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთა-  
ბეჭდილება?



სტუდენტურ  
გუნდთან ერთად.  
ბრიუსელი, 1978 წელი

— იური ჩესნოკოვი მატიჩის დროს ცუდად დაეცა. მეორე დღეს მარჯვენა იდაყვის არეში ვაშლისოდენა სითხით სავსე სიმსივნე გაუჩნდა — სახსრებში ანთებითი პროცესი დაწყებულიყო. მკურნალობის ყველა რადიკალური ზომის მიუხედავად, ტკივილები არ უცხრებოდა. ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება, როგორ მოახერხა იურიმ ექიმების დარწმუნება, რომ იგი სათამაშოდ დაეშვათ. ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე და უშუალოდ თამაშის წინ ექიმები ნემსებით ამოუღებდნენ ხოლმე სითხეს და ასეთი უსიამოვნო პროცედურის შემდეგ იური მოედანზე გადიოდა.

აქ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ ძნელია ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზება, როცა რამე გტკივა. იური ჩესნოკოვმა საოცარი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა — მძიმედ დაშავებულმა ბრწყინვა-

ლედ ითამაშა და განიმტკიცა მაღალი რეპუტაცია ისეთი ადამიანისა და სპორტსმენისა, რომელიც ყველაზე მძიმე პირობებშიც კი არ გიმტყუნებს.

— კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი გამოსვლით?

— იმ თამაშებიდან, რომლებიც ჩვენ ჩავატარეთ, თავიდან ბოლომდე ვითამაშე 4 მატჩი. გარდა ამისა, როგორც შემცველმა, ყველა დანარჩენ მატჩშიც მივიღე მონაწილეობა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შემცველს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. ძნელია საერთო ანსამბლში უმაღლვე ჩართვა და პირველივე წუთებიდან მთელი სიძლიერით თამაში. „გასახურებლად“ კი აბა სადღაა დრო! თანაც ახალი მოთამაშის შეყვანა თითქმის მუდამ კრიტიკულ მომენტში ხდება ხოლმე, მაშინ, როცა ყველა ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მიძნელდება საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ, საერთო აზრით, ურიგოდ როდი გავართვი თავი ჩემზე დაკისრებულ ამოცანას — „ორივე ფრონტზე“, როგორც ძირითადად მოთამაშემ და როგორც შემცველმა.

1965 წელს ვაჟა კაჭარავამ მოსკოვის „დინამოში“ ჩაუშვა ლუზა. სულ მალე გუნდის კაპიტნადაც აირჩიეს. ამავე წელს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ჯერ პოლონეთში მოიპოვა მსოფლიო თასი (გუნდმა, მათ შორის, ქართველმა ფრენბურთელმა, ისე ბრწყინვალედ ითამაშა, რომ არც ერთი თამაში არ წაუგია), შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორედ დაეუფლა მსოფლიო უნივერსიადის უმაღლეს ტიტულს.

ეს წელი კიდევ იმით იყო გამორჩეული, რომ მოსკოვის „დინამომ“, რომლის სული და გული ვაჟა იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მოსკოვის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ორჯერ გახდა (1967-1971 წლებში) სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი.

...ბოლოს, იყო თურქეთი — ევროპის ჩემპიონატი.

ანკარაში გამართულ ევროპის ჩემპიონატიდან შინ დაბრუნებული ვაჟა კაჭარავა განმარტოებულიყო და თურქეთში მოპოვებულ ოქროს მედალს დიდხანს, დიდხანს ათვალიერებდა. დროდადრო ჭერს მიაპყრობდა ხოლმე მზერას და ფიქრები ეძალებოდა. ახსენებოდა, როგორი დაძაბუ-

ლი და საინტერესო ბრძოლები გადახდათ მას და მის თანაგუნდელებს. ახსენებოდა ფრენბურთში გადადგმული პირველი ნაბიჯები, სხვადასხვა შეჯიბრებები და იქ მოპოვებული ნადავლიც. ამ ნადავლში, ცხადია, ყველაზე მეტად ოლიმპიური ოქროს მედალი ბრწყინავდა, რომელიც ტოკიოს სარბიელზე მოიპოვა.

...ძნელია, ძალზე ძნელია ათლეტისთვის აქტიურ სარბიელთან, აქტიურ სპორტთან განშორება. ამის გამოა, რომ ბედის ნებიერ სპორტსმენებს უჭირთ კარიერის დასრულება. უჭირთ დროულად, სწორად შეაფასონ, სად უნდა დასვან წერტილი. უჭირთ იმის წარმოდგენა, რომ იმ თამაშში, რომელსაც მაყურებელი კვლავ დაუკრავს ტაშს, მათი ადგილი აღარ იქნება.

ასეთ სპორტსმენებს ავინყდებათ, რომ გულმემატკივარს მოკლე მუხსიერება აქვს და ძველი დამსახურებისთვის ტაშს არ დაუკრავენ. სტვენა კი, რომელიც შეიძლება სუსტ გამოსვლას მოჰყვეს, თავმოყვარე ადამიანისთვის ძნელი ასატანია.

არადა, არც ის არის ადვილი, ქუდი დაიხურო და წახვიდე, როცა ეს-ესაა დიდი გამარჯვება მოიპოვე, როცა მაყურებლის ალტაცების ყიჟინა ისევ ჩაგესმის ყურში, როცა ტრიუმფის შემდეგ ახალი ჰორიზონტი გემლება წინ.

...მაგრამ დაუმარცხებლად წასვლის სურვილიც მაცდურია და ვაჟა კაჭარავამ ვერ გაუძლო ამ ცდუნებას — ნაკრების მაისური სამუდამოდ გაიხადა.

მერე, დიდი ხნის შემდეგ, „სარბიელში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ვაჟა კაჭარავასთან.

— თქვენ თავდამსხმელი იყავით. გამთამაშებელზე ბევრია დამოკიდებული?

— რა თქმა უნდა, „პასებით“ ის გამარაგებს. გამთამაშებელი კარგად უნდა კითხულობდეს თამაშს, იცოდეს, ვის რა სიმაღლეზე, რა სიძლიერის პასი მიაწოდოს და როდის. არიან თავდამსხმელები, რომლებსაც ბოლო, მეთხუთმეტე ბურთი არ უნდა მიაწოდო, გააფუჭებენ. არა, მშიშარები კი არ არიან, უბრალოდ, ასეთ ფსიქოლოგიურ ტიპად ჩამოყალიბდნენ.

— ფრენბურთში თავდამსხმელს დაცვაშიც უხდება თამაში. თქვენ რომელი უფრო გიყვარდათ?

— რა თქმა უნდა, თავდამსხმელი ქმნის იმ ემოციურ ფონს, რომელიც მოთამაშეებსა და გულშემატკივრებზეც დადებითად მოქმედებს და აღმაფრენას იწვევს. თუმცა, მე რომ მკითხვით, მეტოქეზე უფრო დაცვის კარგი თამაში მოქმედებს — აულებელ ბურთს რომ აიღებ.

მე უფრო უნივერსალიზმისკენ მქონდა მიდრეკილება. დაცვაშიც მიყვარდა თამაში, ბლოკზეც და, რა თქმა უნდა, თავდასხმაშიც.

ვისაც ვაჟა კაჭარავას თამაში უნახავს, კარგად ეხსომება, რომ მართლაც უნივერსალური მოთამაშე იყო. როგორც თავდამსხმელის დახვეწილ ოსტატობაზე რომ არაფერი ვთქვათ, დღესაც გაოცებას იწვევს ის, რომ ვაჟამ უნგრეთის ნაკრების ფრენბურთელებს (ევროპის ჩემპიონატზე) ერთ პარტიაში 13 შედეგიანი ბლოკი დაუყენა, მათ შორის 9 — ქულის მომტანი.

ეს ფაქტი არაოფიციალურ რეკორდად შეიძლება ჩაითვალოს.

საბჭოთა ფრენბურთის ისტორიაში ჩვენმა თანამემამულემ ერთ-ერთმა პირველმა დახვეწა ე. წ. იაპონური მონოდება!

საბჭოთა ფრენბურთელებს შორის ვაჟას ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნახტომი ჰქონდა.

30 წლისამ, როცა მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდა, შეიცვალა ამპლუა, გამთამაშებლად გადავიდა და მოსკოვის ნაკრების წევრიც გახდა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა პრაქტიკულად ერთდროულად დაამთავრა ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და ფრენბურთის თამაში.

მისი დიდი სურვილიც ეს იყო, რომ სწავლისა და სპორტისთვის ერთდროულად დაესვა წერტილი.

„სტუდენტობის დასასრული რომ მოახლოვდა, წამომცდა — ერთი სული მაქვს, როდის დავამთავრებ ამ ინსტიტუტს, რომ აქედან წავიდე-მეთქი. ლექტორებმა — ჯერ დიპლომი აიღე და მერე ვილაპარაკოთო, — რა დროს დიპლომია, თორმეტი ქალი მყავს მოსავლელი-მეთქი. იმ დროს ინსტიტუტის ქალთა გუნდს ვავარჯიშებდი.

ლექტორებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — აქედან ასე იოლად ვერ გაგიშვებთ. გახსოვს, მესამე კურსზე ტრენაჟორის გაკეთება რომ გინდოდა, ჰოდა, ის ტრენაჟორი დააპროექტეო.

გულზე შემომეყარა. ისე დამემართა, რუსები რომ ამბობენ, „გლაზა ბოიატსა, არუკი დელაიუტ“-ო.

დიპლომში ელექტრომექანიკოსი მინერია. სინამდვილეში „რაკეტრიკი“ ვარ. ადრე ამის გამხელა არ შეიძლებოდა. სწორედ რაკეტის მართვის პრინციპი გამოვიყენე ტრენაჟორის დაპროექტებისას.

ბაუმანის სახელობის სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგედ დაინიშნა მოკრივე ვალერი პოპენჩენკო (ვალერიც ტოკიოში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი). მას სადოქტორო თემად შერჩეული ჰქონდა „ინჟინერია და სპორტი“. ძალიან სერიოზული, რთული თემა იყო. უმაღლესი სასწავლებლის რექტორატმა შემომთავაზა, თანაბარი პირობებით მეც ჩავბმულიყავი კვლევაში — ვალერისთან ერთად მემუშავა დისერტაციაზე.

სამწუხაროდ, 1975 წლის 15 თებერვალს ვალერი ინსტიტუტის ცენტრალური ვესტიბიულის მესამე სართულის კიბიდან გადმოვარდა და იქვე გარდაიცვალა. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „ამერიკის ხმამ“ იმავე საღამოს გადმოსცა ეს ინფორმაცია. გამოძიება საიდუმლოდ მიმდინარეობდა. არც ოჯახის წევრებმა, არც ვალერის მეგობრებმა არ ვიცოდით, სინამდვილეში რა მოხდა. არ ვიცოდით და დღემდე არ ვიცით. ამის გამო სამეცნიერო მუშაობა შეწყდა.

მე კი შევრჩი მწვრთნელობას. რამდენიმე წლის შემდეგ მირჩიეს, რაკი სამეცნიერო სტატიები მქონდა გამოქვეყნებული, ტრენაჟორი დაპროექტებული და ლექციებსაც ვკითხულობდი ინსტიტუტში, რექტორატის სახელზე დამენერა განცხადება, რომ მოენიჭებინათ სამეცნიერო ხარისხი.

საბჭოთა კავშირის საატესტაციო კომისიაში არსებობდა ნახევრად საიდუმლო დებულება — გამონაკლის შემთხვევაში დისერტაციის დაუცველად მიენიჭებინათ სამეცნიერო წოდება.

ასე გავხდი სასწავლებლის ფიზაღზრდის კათედრის დოცენტი. თუმცა შეიძლებოდა ჩემი ცხოვრება სულ სხვა გზით წასულიყო. იმის გამო, რომ კარგ სტუდენტად ვითვლებოდი, ჯერ იყო და, სსრკ-ს კომკავშირის ცეკაში მეპატიჟებოდნენ პრესტიჟულ თანამდებობაზე, შემდეგ კავებემ შემომთავაზა ექსპერტის საინტერესო სამსახური.

ორივეზე უარი ვთქვი. სერიოზულად ვფიქრობდი ჟურნალისტობაზე. სტუდენტობის დროს ვთანამშრომლობდი რედაქციებში — მოსწონდათ ჩემი პუბლიკაციები. მაგრამ, როგორც ჩანს, ფრენბურთის მეტასტაზები უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

მწვრთნელობა სავსებით შეგნებულად ავირჩიე. ჯერ იმიტომ, რომ ის ჰგავს იმ სფეროს, რაც „ბაუმანში“ ვისწავლე — ავტომატური მართვა, ავტომატური რეგულირება, კომპიუტერები ხომ ადამიანის ფიზიოლოგიის, ადამიანის ნერვული სისტემის ასლია. მწვრთნელს ადამიანების ამ რთულ სისტემასთან აქვს საქმე. მეორე და გადამწყვეტი მიზეზი ის გახლდათ, რომ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ბევრი სიყალბეა. სპორტი კი ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე ნაღდი გამოხატულებაა“.

ვაჟა კაჭარავას ფრენბურთის სამყაროში გატარებულმა წლებმა მდიდარი გამოცდილება დაუგროვა, დაკვირვების განსაკუთრებულმა უნარმა კი შეგირდებთან ურთიერთობის უტყუარი ალლო ჩამოუყალიბა.

ისწავლა, როგორ უნდა დააღწიოს თავი უმძიმეს კრიზისს მოთამაშეში და გუნდმა. ამ დროს როგორი ორგანიზაცია, ფსიქოლოგიური და ტაქტიკური მომზადება სჭირდება გუნდს.

ვაჟა კაჭარავა რვა წლის განმავლობაში წვრთნიდა ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდს. პარალელურად იყო სსრკ-ს ახალგაზრდული და სტუდენტური ნაკრების მწვრთნელი.

ათი წელი (1984-1994) საქართველოს ნაკრებს ედგა სათავეში. ბევრი მაღალი კლასის ფრენბურთელი გამოზარდა, დიდ სარბიელზე გაიყვანა. მათ შორის 20 სპორტის ოსტატია, 6 — საერთაშორისო და ერთი ც სპორტის დამსახურებული ოსტატი.

შეგირდებიდან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია და ტიტულებით მასწავლებელსაც კი აჯობა მოსკოველმა ვლადიმერ ჩერნიშოვმა. მან ოროჯერ მოიგო მსოფლიო უნივერსიადა, მსოფლიო თასი, ევროპის პირველობა და მსოფლიო ჩემპიონატი. მოსკოვში ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა, ხოლო მონრეალში — ვერცხლის მედალს.

„ჩემთვის მწვრთნელის ეტალონი გივი ახვლედიანი იყო. მას დიდი პედაგოგიური ალლო და ნიჭი ჰქონდა. იცოდა, ვისთვის აენია ხმა, როგორ და



„ფრენბურთი ერთ-ერთი ყველაზე ჯენტლმენური და ინტელექტუალურია სპორტულ თამაშებში. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ უკონტაქტია. იშვიათია შემთხვევა, რომ მონინააღმდეგეებმა სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენონ ერთმანეთს. ჩვენ არ გვაქვს ცუდად შეხედვის უფლებაც კი. ამის გამო, გინდა თუ არა, ჯენტლმენური ხასიათი გიყალიბდება.“

როდის მიეცა შენიშვნა. როდესაც სპორტსმენებს ეძინათ, თითის წვერებზე დადიოდა — უფრთხილდებოდა... მწვრთნელის საქმე ვარჯიში და თამაშისთვის ფსიქოლოგიური მომზადებაა. ასპარეზობის დროს მწვრთნელები რომ დარბიან, ყვირიან და ერთ ამბავში არიან, ეს არ მწამს.

ნუთქსვენება შეიძლება იმიტომ აიღო, რომ მოწინააღმდეგის აღმაფრენა ჩაახშო, მოადუნო. არის ისეთი მომენტებიც, როცა მწვრთნელის რეპლიკა აუცილებელია, მაგრამ ბევრი არაფერი. შეგირდმა ყველაფერი ვარჯიშის დროს უნდა ისწავლოს. მოედანზე თვითონ უნდა იპოვოს გამოსავალი. ვეუბნებოდი ხოლმე — გინდათ, მოვიდე და სისულელეები გელაპარაკოთ-მეთქი? — არა, არ გვინდაო.

ძალიან ძნელია ნაკრების მწვრთნელობა. ბევრით არ განსხვავდება მსოფლიო ნაკრების დამრიგებლისგან. სამი დღე რომ გექნება, სხვადასხვა გუნდში მოთამაშე ფრენბურთელები ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურად ერთ მუშტად შეკრა, წინასწარ განწირული ხარ“.

17 წელი გაატარა ვაჟა კაჭარავამ მოსკოვში — სამშობლოდან და ოჯახიდან შორს. იქ დაღვინდა როგორც სპორტსმენი, იქ შედგა მისი წარმატებული სამწვრთნელო კარიერა. იქ შეიძინა ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი, მაგრამ ამ ლექსში, რომელსაც ვაჟა კაჭარავამ „სალამო მოსკოვში“ უწოდა, ნათლად ჩანს ის ნოსტალგია, რომელიც განუშორებლად თან დაჰყვებოდა.

*„...დამავციანდა აივანზე განმარტოება  
და მზემ შემასწრო ოღროჩოღრო სახურავებში,  
მე მიყვარს ეს დრო, დღის მორჩილი დაბოლოება,  
თავშეხვეული ულამაზეს საღებავებში.*

*ხომ გარდუფალი ცვლილებაა მხოლოდ უცვლელი  
და ვით ჟამთა სვლის ამ კანონის... უვინყი მაცნე,  
აფარფატდება კალენდარის თეთრი ფურცელი,  
ადამიანის სიხარულით და სევდით სავსე.*

*იმ ფურცელივით ფარფატებენ ჩემი ფიქრებიც,  
ასეთ დროს კაცი უნებლიეთ სათუთი ხდები.  
კვლავაც ნანატრი და ოდესღაც ანასრულები  
თავს გვევლებიან შორეული მოგონებები.*

*მე მაგონდება თბილისური საღამოები,  
ამხანაგურად მხარაბმული მყუდრო ქუჩები  
და ღია ფანჯრებს დაცდენილი ატრიბუტები,  
წარდის თამაშის და მუსიკის ნელთბილი ხმები.*

*ღრმა წარსულიდან ხელებს მიქნევს ჩემი ბავშვობა,  
მუხლგაცვეთილი, თვალებსუფთა და უდარდელი,  
— დაანებო, კაცო, თავი მაგ უაზრობას,  
წამოდი, შენთვის საიდუმლო მაქვსო სათქმელი.*

*ვინ იცის, რას არ გაგახსენებს ურჩი გონება,  
თუ თავის დროზე არ მოსთხოვე, ინამოს ღმერთი,  
ხომ ბევრი გზა აქვს მომავალში კაცის ცხოვრებას,  
ნულა ინანებს, თუ წარსული აქვს ერთადერთი.*

*გვიან ღამდება ზაფხულობით, გვიან ღამემდე,  
კედლებს მოჰყვება გადაღლილი ქუჩის ხმაური  
და ზეცა იცდის ვარსკვლავების გამოჩენამდე,  
უკიდებანო, იდუმალი და უცნაური“.*

ვაჟა კაჭარავას სამშობლო ეძახდა. ეძახდა კი არა, ტკივილამდე ენეოდა „მხარაბმული მყუდრო ქუჩები“, ენეოდა „ბავშვობა... თვალებსუფთა და უდარდელი“. კიდევ რაღაც — იდუმალი, სახელს რომ ვერ დაარქმევ.

იყო კიდევ ერთი უთქმელი დიდი გრძნობა, რასაც მოვალეობა ჰქვია. მოვალეობა იმ ქვეყნის წინაშე, რომელმაც გაგზარდა, დიდ სპორტულ ასპარეზზე გაგიყვანა.

ქართულ სპორტს უბრუნდებოდა ადამიანი, რომელიც მოესწრო მის აღზევებასაც და დაკნინებასაც, ვისთვისაც არაფერი ისე ახლობელი არ იყო, როგორც ქართული ფრენბურთის ინტერესები, ვისაც ამ წლების განმავლობაში გული სტკიოდა იმის გამო, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენში ვერა და ვერ გასწორდა წელში.

ვაჟა კაჭარავა სამშობლოში ხელცარიელი არ ბრუნდებოდა. მას თან ჩამოჰქონდა „ათას ერთი“ გეგმა, პროექტი, ჩანაფიქრი და, რაც მთავარია, დიდი იმედი, იმედი იმისა, რომ ქართულ ფრენბურთს ხელახლა ააღორძინებდა.

საქართველოში ჩამოდიოდა კაცი, რომელსაც სამწვრთნელო ასპარეზზე თავის გამოჩენისთვის მიენიჭა სსრკ-სა და რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. 1990 წლის გამოკითხვით, ის საბჭოთა კავშირის საუკეთესო მწვრთნელთა შორის დაასახელეს და გადასცეს ოქროს საათი წარწერით „სსრკ-ს საუკეთესო მწვრთნელს 1990“. (ეს საათი ბატონი ვაჟასთვის ძვირფასია უფრო იმიტომ, რომ გაითვალისწინეს ის მძიმე პირობები, რომელშიც საქართველოში მუშაობდა).

მოგვიანებით კი მოსკოვმა, საყოველთაო გამოკითხვით, ვაჟა კაჭარავა XX საუკუნის საუკეთესო ფრენბურთელთა შორის დაასახელა. საქართველოში 1999 წელს გამართულ რეფერენდუმზე კაჭარავა საქართველოს XX საუკუნის სპორტსმენად აღიარეს.

თბილისში დაბრუნებულმა სახელოვანმა სპორტსმენმა და მწვრთნელმა კარგად იცოდა, რომ ის მსოფლმხედველობა, რომელიც ფრენბურთის მიმართ წლების განმავლობაში იყო ფესვგადგმული, ბევრად არ იყო შეცვლილი, მაგრამ იყო სერიოზული დაპირებები. ამ დაპირებას სათავეში ედგა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბორის ნიკოლსკი, რომელიც ფრენბურთს კურირებდა.

ნიკოლსკიმ კაჭარავას აღუთქვა, რომ ყველა პირობას შეუქმნიდა საქართველოში ფრენბურთის ასაღორძინებლად. პირველ ყოვლისა, აშენდებოდა სპორტული ბაზები.

დანგრევა ადვილი, თორემ აშენებას დიდი დრო სჭირდება.

ამასობაში ალბათ მოვასწრებთ იმის გარკვევას, რატომ ექცეოდნენ ჩვენში ფრენბურთს გერივით.

„გაგეცინებათ, მაგრამ ერთ-ერთი „სერიოზული“ არგუმენტი ის გახლდათ, რომ „სირისტიანების“ თამაშიაო“, — თვალეში ვერ მიყურებს ბატონი ვაჟა.

ბარემ აქვე გავარკვიოთ, არის თუ არა ფრენბურთი „სირისტიანების“ თამაში.

რუმინეთში, 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადის წინ, სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებს შორის ფიზიკური მომზადების შესამოწმებლად ჩაატარეს შეჯობრება ათჭიდში (სპეციფიკის გამო მხოლოდ ჭოკით ხტომა გამოტოვეს). აბა, თუ გამოიცნობთ, ვინ გაიმარჯვეს? — ფრენბურთელებმა.

ამავე წელს ოლიმპიურმა კომიტეტმა ლოზანაში გამოსცა ბიულეტენი, რომელშიც შავით თეთრზე წერია: მსოფლიოში ფეხბურთს მისდევს 15 მილიონი ადამიანი, მძლეოსნობას — 20, ხოლო ფრენბურთს — 40 მილიონი.

ეს სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ ძველია, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, ეს თანაფარდობა დღესაც არ შეცვლილა. პირიქით, საფრენბურთო ქვეყნებს ახლები შეემატნენ. მათ შორის იტალიელები, ნორვეგიელები და სხვები.

კვლავ გვინდა შემოგთავაზოთ ნაწყვეტი არჩილ გოგელიას ნარკვევიდან „ვაჟა კაჭარავა“.

„ფრენბურთს უცნაური ბედი დაჰყვა საქართველოში. ჯერ გულში ჩავიხუტეთ, გავითავისეთ, ლამის ქართულ სახეობად ვაქციეთ, საუცხოო ოსტატებიც გავზარდეთ, მერე... ეს კარგი ტრადიცია თვალსა და ხელს შუა დაგვკარგეთ.

აქეთ ვეცით, იქით ვეცით, მაგრამ დაკარგულს ველარ მივაგენით, ვერ ვიპოვეთ. და ბოლოს, როგორც ზოგჯერ გვჩვევია, განბილებულებმა და იმედგაცრუებულებმა უიმედოდ ჩავიქინეთ ხელი. ახლა სხვა ვარსკვლავის დევნას შევუდექით: ეს ხელბურთიო, ეს რაგბიო, მაგრამ ფრენბურთი ველარაფერმა შეცვალა. მისი ადგილი ვერაფერმა დაიკავა, რაკი ერთხელ დაცარიელდა, დღემდე ვაკანტური რჩება.

ასეთია ის თავისებური ოდისეა, უნდა ითქვას, ჭკუის სასწავლებელი და ჩვენს შემთხვევაში საბედისწერო, რომელიც საქართველოში გადახდა ფრენბურთს.

არადა, ეს სახეობა სულაც არ არის არც მივიწყების, არც დაქვეითების ღირსი. თავს უფლებას მივცემ გავიხსენო ერთი ეპიზოდი, რომელიც მოწმობს, რაოდენ პოპულარულია ფრენბურთი მსოფლიოში.

თავის დროზე დავწერე წერილი „ვარნის ოქროს შემოდგომა,“ 1970 წელს ბულგარეთში გამართულ ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. რამდენმა წელმა განვლო მას შემდეგ და მეხსიერებიდან ჯერაც არ ამომსვლია განუმეორებელი, თავბრუდამხვევი და ზედმინევენით აზარტული მატჩების პერიპეტიები.

მანამდე, ესე იგი, ამ ჩემპიონატამდე, ჩემს თავს ფრენბურთის მაინცდამაინც დიდ ქომაგად არ მივიჩნევდი, მაგრამ საკმარისი იყო მენახა დიდი, ნამდვილი ფრენბურთი, რომ იქიდან მოყოლებული ნებისმიერი ტურნირი მიზიდავს, სადაც კი ბაღვა გაბმული და სარბიელზე გამოსული ექვსი სპორტსმენი, მართლაც წარმოუდგენელი სისხარტით, მოხერხებით და თავგანწირვით ცდილობს გამარჯვების მოპოვებას“.

უფრო ღრმად თუ გავაანალიზებთ, ფრენბურთის დაცემა სპორტის ფუნქციონერთა გულგრილობამაც გამოიწვია და არა იმან, რომ ქართველმა გულშემატკივარმა აითვალწუნა.

ვაჟა კაჭარავა: „1961 წელს თბილისში საკავშირო ჩემპიონატის ოთხი მატჩი ვითამაშეთ და ოთხივე მოვიგეთ. ჩემპიონატი ლენინის სახელობის დარბაზში ტარდებოდა. პირველ მატჩში რიგის გუნდის დამარცხებას ისეთი აჟიოტაჟი მოჰყვა, რომ მომდევნო შეხვედრაზე ცხენოსანი მილიცია იცავდა წესრიგს. ჩემი მეგობრები, იმის მიუხედავად, რომ ბილეთები ჰქონდათ, თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე დარბაზში ვერ შემოვიდნენ... ბევრი სტაჟიანი გულშემატკივრისთვისაც კი მოულოდნელი იქნება იმის გაგება, რომ ჩემთან ერთად ტოკიოში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სოხუმელი სტანისლავ ლუგაილო, ხოლო მოგვიანებით, 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე, უმაღლეს ტიტულს დაეუფლა ასევე სოხუმელი ვლადიმერ დოროხოვი. გარდა ამისა, დოროხოვი ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

შესანიშნავი ბიჭები იყვნენ. ჯარში გაიწვიეს და საქართველოს სპორტკომიტეტმა, იმის ნაცვლად, რომ ებრძოლა მათი თბილისში დატოვებისთვის, ბედის ანაბარა მიატოვა. ჩვენი წაყრუებით ისარგებლეს მეტოქეებმა

და ისინი თავიანთ გუნდებში გადაიბირეს. მე ვესაუბრე დოროხოვს. მითხრა — ძალიან მიყვარს სოხუმი (მაშინ დაკარგული არ გვექონდა). კარგი, ჩამოვალ, მაგრამ რა პერსპექტივა მაქვსო. რა უნდა მეთქვა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფაზე მათი გვარებიცაა ამოტვიფრული. თუმცა, ეს სიმბოლურია, უფრო ჩვენს ბედოვლათობაზე მიუთითებს.

ფრენბურთის განვითარებაში გივი ახვლედიანის წვლილზე ბევრი თქმულა და დაწერილა. აქვე არც ის ადამიანები უნდა დავივიწყოთ, რომლებიც, მართალია, ჩვენი სკოლის აღზრდილები არ არიან, მაგრამ ქართული გენეტიკა ასახელეს. მათ შორის უნდა დავასახელო ლენინგრადის „სპარტაკის“ მოთამაშე იური აროშიძე, რომელიც 1960 წელს რიო დე ჟანეიროში საბჭოთა ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ახალი თაობის ფრენბურთელებიდან დაწინაურდა თბილისელი ვიქტორია რავა. ის საფრანგეთის კლუბ „კანის“ კაპიტანია. მისმა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, თავად რავა კი ტურნირისა და საფრანგეთის 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს (ზიდანს გაასწრო).

სხვადასხვა დროს სსრკ-ს ნაკრებში მიწვეული იყო საქართველოში დაოსტატებული ოცზე მეტი ფრენბურთელი“.

საქმეში ჩაუხედავი კაცი ამ სტატისტიკას რომ გადაავლებს თვალს, აუცილებლად იფიქრებს, საქართველოში ფრენბურთი ერთ-ერთი უპირველესი სპორტია და მას განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიანო. არადა, ამ ქვეყანაში ოლიმპიურ ჩემპიონს ფრენბურთში მხარზე ხელის მოთათუნება დაამადლეს.

მწერალ ნუგზარ შატაიძეს აქვს მოთხრობა „ჭინჭარი ნასახლარზე იზრდება“, რომელიც ასე იწყება:

„მიგრიაულები წავიდნენ.

წავიდნენ ნიკლაურები.

ჩოქურებიც წავიდნენ. ლანდებივით ჩაიარეს სოფლის ორღობეში, გრძელ ველზე გავიდნენ და დილის რძისფერ ნისლში ჩაიკარგნენ“.

როგორ ჰგავს ჩვენი ფრენბურთის ისტორიას, მხოლოდ გვარებია შესაცვლელი...

ტოკიოს ოლიმპიურ  
სოფელში. 1964 წელი


მამა კაჭარავა

ვაჟა კაჭარავა  
მეგობართან — ანზორ  
ბურკაძესთან ერთად



საქართველოს  
ფრენბურთელთა  
ნაკრები და მისი მთავარი  
მწვრთნელი ვაჟა კაჭარავა





სსრ კავშირის ხალხთა  
სპორტაკადაზე.  
მოსკოვი 1967 წელი

საუკეთესო თავდამსხმელის  
პრიზი — ვაჟა კაჭარავას.  
ბერლინი, 1967 წელი

ვაჟა კაჭარავას „ათას ერთი“ გეგმიდან უპირველესი გახლდათ ბავშვებთან მუშაობა, მაგრამ მან „პარტიული დავალება“ მიიღო: ნაკრებს უნდა ჩასდგომოდა სათავეში. თვითონ ფრენბურთელებმაც სთხოვეს — თუ თქვენ არ მოხვალთ, დავიშლებითო.

ოლიმპიური ჩემპიონი იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა შექმნილი მდგომარეობა, თუმცა ეს მის გეგმებს თავდაყირა აყენებდა.

„ჩავიბარე თუ არა ნაკრები, სულ მცირე, ათი სერიოზული დაბრკოლება გადამელობა. აქედან ერთიც რომ მცოდნოდა, არ დავთანხმდებოდი ნაკრების მწვრთნელობაზე. დაპირებები, რომ მხარში ამომიდგებოდნენ, დარჩა ხმად მლალადებლად უდაბნოსა შინა. გარე პრობლემების მოგვარებაზე უფრო მეტ დროს ვხარჯავდი, ვიდრე ფრენბურთელთა წვრთნაზე. მთავარი დაბრკოლება კვლავ ჯარში „დაკარგული“ ფრენბურთელების პრობლემა იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ოთხი თუ ხუთი გუნდი მონაწილეობდა და ყველა მათგანი ცდილობდა მათ გადაბირებას. ისე ხდებოდა — „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ“.

იყო კიდევ ერთი, სრულიად გაუთვალისწინებელი მიზეზი — 80-იან წლებში ძირითადი ექვსეულიდან ორს ბოტკინი დაემართა.

ეს პრობლემები ვერ მოგვერეოდა, საქართველოში ფრენბურთი მასობრივი რომ ყოფილიყო, ანუ უფრო დიდი არჩევანი რომ გვექონოდა. სამწუხაროდ, ჩვენში ფრენბურთი კვლავ ეროვნული უმცირესობის თამაშად რჩებოდა. აქედან გამომდინარე, გვაკლდა მწვრთნელთა ეროვნული კადრები. ტყუილად როდია ნათქვამი — „ადგილის კურდღელს ადგილობრივი მწევარი იჭერსო“. ქართველი მწვრთნელი უფრო გულიანად, უფრო გაბედულად იბრძოლებდა თავისი უფლებების დასაცავად.

ისევ ოთხმოციან წლებს დავუბრუნდეთ.

პრესტიჟულ ადგილზე — „მზიურში“ დაიწყო ფრენბურთის თანამედროვე კომპლექსის მშენებლობა.

ეს იყო საქართველოს ფრენბურთელთა ყველა თაობის ოცნება. გაჩნდა იმედი, რომ ფრენბურთი სპორტის სხვა სახეობების გვერდით ღირსეულ ადგილს დაიკავებდა.

ამ საქმეში დიდი წვლილი შეჰქონდა ცნობილ მშენებელს და სპორტის მოღვაწეს ვანო ყიფიანს (სხვათა შორის, ბატონი ვანო იყო ის ადამიანი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ვაჟა კაჭარავას თბილისში გადმოყვანასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში).

სამშენებლო ტრესტი, რომელსაც ვანო ყიფიანი ხელმძღვანელობდა, ყველაფერს აკეთებდა, რომ მშენებლობა არ შეფერხებულიყო. ამავე დროს, დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა საქართველოს ვაჟთა ნაკრებს.

თითქოს რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ მშენებარე სპორტული კომპლექსის კედლები დანგრეულიყო და საძირკველი მიწით ამოვსებულიყო.

მოხდა კი ასე.

ამჯერად ავანსცენაზე გამოვიდა დიდი პოლიტიკა, რასაც მოჰყვა 9 აპრილის ცნობილი მოვლენები. ქვეყანა აირია, ძალი პატრონს ვერ სცნობდა.

ობლის კვერი, რომელსაც ქართული ფრენბურთი უნდა აელორძინებინა, კუტად ჩავარდა.

გაიაფდა სინდის-ნამუსი და მშენებლობისთვის განკუთვნილი მასალის ნაწილი წერეთლის პროსპექტზე, კალათბურთის სასახლის მშენებლობაზე გადაისროლეს, ნაწილი კი — სტიქიით დაზარალებული აჭარლების იმ ბინების მშენებლობას მოხმარდა, რომელიც დღესაც ცარიელია.

ერთი სიტყვით, ძლივს აწყობილი საქმე განუკითხაობის მორევში აღმოჩნდა. სინათლე, რომელიც გვირაბის ბოლოს თითქოს საიმედოდ ანათებდა, ჩაქრა.

„ათას ერთი“ გეგმის განხორციელება მომავლისთვის გადაიდო. თუმცა ოლიმპიურ ჩემპიონს გულხელი არ დაუკრეფია. მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა მწვრთნელებს — საკონსულტაციო მუშაობას ეწეოდა.

თბილისში გაიხსნა ვაჟა კაჭარავას სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრი. სხვადასხვა დროს ფრენბურთის შესახებ ლექციებს კითხულობდა მექსიკასა და კუბაში. 1995-1996 წლების სპორტულ სეზონზე ავარჯიშებდა ისრაელის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს „მატიაშერს“, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.

სეზონის დამთავრების შემდეგ ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, მაგრამ უარი განაცხადა.

საინტერესოა, რომ ვაჟა კაჭარავა „მატიაშერის“ მწვრთნელად მიიწვიო საქართველოში ისრაელის ელჩმა, რომელსაც „სპორტივნიე იგრი“-ში წაეკითხა ვაჟას წერილი „ნახტომის ზრდის მეთოდისა“. თავის დროზე ელჩი ფრენბურთს თამაშობდა და ძალიან გამოსდგომია ოლიმპიური ჩემპიონის წერილში მოყვანილი დარიგებები.

1989 წლის 6 ოქტომბერი ქართული სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვან თარიღად იქცა. ამ დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია (სხვათა შორის, საინიციატივო ჯგუფში, როგორც გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტი, მეც გახლდით — ჯ.კ.).

ვაჟა კაჭარავას ეამაყება, რომ ოფიციალურად მან გამოაცხადა სეოკ-ის დაფუძნება. ახალშექმნილ სეოკ-ის სესიაზე ვაჟა კაჭარავა ერთხმად აირჩიეს აღმასკომის წევრად.

სპორტში განეული ღვანლისთვის დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის, ღირსებისა და სეოკ-ის ორდენებით.

ვაჟა კაჭარავა თავისი ცხოვრების წესით მაქსიმალისტია. სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა ის, რომ სპორტული კარიერის პიკზე ყოფნისას თავი დაანება ნაკრებში ფრენბურთის თამაშს.

იგივე შეიძლება ითქვას იმაზეც, რომ ბამზე ყოფნისას უარი განაცხადა კოლეგა ვეტერან ფრენბურთელებთან ერთად ამხანაგურ მატჩში მიეღო მონაწილეობა.

„რომ ვუყურებდი, გული მტკიოდა. საჯაროდ უსუსურობის დემონსტრაციას ახდენდნენ. მობერებული სპორტსმენები სარბიელზე არ უნდა გამოდიოდნენ. თუ თავი დაანებე სპორტს, დაანებე რა! დაჯექი და მემუარები წერე“.

2004 წელს ვაჟა კაჭარავა მოსკოვში მიიწვიეს, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმზე.

რუსებმა ყველაფერი იღონეს, რომ ვეტერანებს მოფერებოდნენ. იყო მიღებები სამთავრობო დონეზე, დაურიგეს საჩუქრები და ფულადი ჯილდოები, შეხვედრები გადაიცა ტელევიზიით.

ამ მხრივ, ცოტა არ იყოს, გულდანწყვეტილია ოლიმპიური ჩემპიონი — ისე გახდა 50, 60 და 70 წლის, რომ ჩვენს სპორტის მესვეურებს არც კი გახსენებიათ.

თუმცა, თვითონ ვაჟა კაჭარავა თვლის, რომ დაბადების დღე სულაც არ არის ადამიანის დამსახურება. „მესმის გამარჯვების მრგვალი თარიღის იუბილე“.

ხანდახან ოლიმპიურ ჩემპიონს სევდა შეიპყრობს ხოლმე. სევდა იმაზე, რომ, როგორც მწვრთნელი, ქართული ფრენბურთისთვის მთლიანად ვერ დაიხარჯა.

1994 წელს იყო შანსი, რომ ჩვენი ფრენბურთი საერთაშორისო ასპარეზზე გასულიყო. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო საქართველოს ვაჟთა ნაკრები ევროპის შესარჩევ ტურნირზე ვერ გაემგზავრა. ამისთვის ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჯარიმის გადახდა მოსთხოვა, რომელიც მოგვიანებით ახალმა ფედერაციამ გადაიხადა.


„უკანასკნელ წლებში ფრენბურთში ერთგვარი გამოცოცხლებაა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ფრენბურთის ნაციონალური ფედერაციის თავკაცს ლევან ახვლედიანს. ამ ახალგაზრდა ენერგიულ კაცს აქვს თანამედროვე მენეჯერის არაჩვეულებრივი მონაცემები.“

2005 წელს ჩვენმა ქალთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. რამდენიმე წლის წინ საბერძნეთში გამართულ პლაჟის ფრენბურთის საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა საქართველოდან წარგზავნილმა წყვილმა — სულხან ახვლედიანმა და ვახტანგ ჩიქოვანმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, ფრენბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, მხარში უდგას ჩვენს ფრენბურთელ ქალებს, ხშირად ესწრება შეჯიბრებებს და შეძლებისდაგვარად მატერიალურადაც ეხმარება.

რამდენიმე წლის წინ პოლონეთში ფრენბურთის ნამდვილი ბუმი დაიწყო. არ დაიჯერებთ, მაგრამ ბიზნესმენები ისე დააინტერესეს, ლამის რიგში ჩადგნენ დასაფინანსებლად. მსგავსი გზა ჩვენც უნდა ვეძებოთ.

აუცილებლად უნდა განვაავითაროთ პლაჟის ფრენბურთი, რომელსაც შედარებით ნაკლები ხარჯები სჭირდება და კლასიკურ ფრენბურთსაც ნაადგება. კოლხეთის დაბლობზე და ფოთის მიდამოებში სპორტის ამ სახეო-



„წუთშესვენება შეიძლება იმიტომ აიღო, რომ მოწინააღმდეგის აღმაფრენა ჩაახშო, მოაღუნო. არის ისეთი მომენტებიც, როცა მწვრთნელის რეპლიკა აუცილებელია, მაგრამ ბევრი არაფერი. შეგირდმა ყველაფერი ვარჯიშის დროს უნდა ისწავლოს. მოედანზე თვითონ უნდა იპოვოს გამოსავალი.“



მეუღლე — სვეტლანა  
ნიკოლაევა-კაჭარავა

და — ლეილა კაჭარავა

შვილიშვილი —  
ანასტასია სემიონოვა

შვილი — ნათელა კაჭარავა



ბის განვითარებისთვის არაჩვეულებრივი პირობებია. მოედნების მოწყობა შეიძლება თბილისის ზღვაზე, ლისისა და კუს ტბებზე. ქვიშა შეგვიძლია საჩხერიდან ჩამოვიტანოთ“.

საინტერესოა, რას ფიქრობს ღვანლმოსილი ვეტერანი თანამედროვე ფრენბურთზე, რა განსხვავებას ხედავს ძველსა და ახალს შორის.

„ფრენბურთი ერთ-ერთი ყველაზე ჯენტლმენური და ინტელექტუალურია სპორტულ თამაშებში. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ უკონტაქტოა. იშვიათია შემთხვევა, რომ მონინალმდეგეებმა სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენონ ერთმანეთს. ჩვენ არ გვაქვს ცუდად შეხედვის უფლებაც კი. ამის გამო, გინდა თუ არა, ჯენტლმენური ხასიათი გიყალიბდება.“

მსაჯი დიქტატორია. თეორიულად, შეუძლია ყველა მოძრაობა შეცდომად ჩაგითვალოს. პროტესტს ვერ განაცხადებ.

ფრენბურთი ბევრად არ შეცვლილა, ოღონდ გახდა ძალიან ათლეტური. მკვეთრად გაიზარდა მოთამაშეთა სიმალლე. ტოკიოში ყველაზე მაღალი მოთამაშე იური სიბირიაკოვი გვყავდა — 197 სმ. ოლიმპიადებზე სულ ორჯერ გამოვიდა შეცვლაზე. დანარჩენები 190 სმ-ზე დაბლები ვიყავით. ქალთა გუნდში, რომელმაც ვერცხლის მედლები მოიპოვა, ლუდმილა გორეევა იყო — 184 სმ. სხვების სიმალლე 174 სმ-ს არ აღემატებოდა.

არ მომწონს, რომ ფრენბურთი ფეხბურთს დაემსგავსა — ბურთი ფეხითაც შეგიძლია მოიგერიო, რაც მე სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია. მაშინ ფეხბურთელებსაც მივცეთ ხელით თამაშის უფლება...“

არ შეიძლება თვალის დახუჭვა იმაზე, რომ, როგორც სპორტის ყველა სახეობაში, ფრენბურთშიც საგრძნობლად ამაღლდა საშემსრულებლო კლასი. ეს საერთო განვითარების ბუნებრივი პროცესია“.

ერთხელ, დიდი ხნის წინ, კორესპონდენტმა ჰკითხა ვაჟა კაჭარავას — რა არის თქვენი ჰობიო. არ მაქვსო, — დაუფიქრებლად მიუგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა. მე იმდენად დიდ სიამოვნებას ვიღებ სამსახურიდან და ვიღებდი, როდესაც ფრენბურთს ვთამაშობდი, რომ დამატებითი სტიმიულატორები აღარ მჭირდებაო.

მაშინ ბატონ ვაჟას ალბათ დაავინწყდა ან არ უნდოდა გაემხელა, რომ ლექსებს წერდა.

ჩვენი მცირე ექსკურსი მის ბიოგრაფიაში გვინდა დავამთავროთ ფრენბურთისადმი მიძღვნილი ლექსით.

*„მაშ დავინწყოთ, მეგობარო, მოვანოდოთ!  
ვცადოთ ბედი, რაა ცუდი ამაში,  
მოვანოდოთ, იქნებ სხვასაც მოვანონოთ,  
ეს ლამაზი, აზარტული თამაში.*

*ბურთის ფლობის ილეთია ჩინებული,  
გადაცემა, სულს და გულს რომ აყოლებს,  
ფრენბურთელი — პიანისტი უნებური,  
რბილად იღებს უჩვეულო აკორდებს.*

*ყალყზე დგება მშვილდის დარი თავდამსხმელი,  
ვით შეტევის სიმბოლო და მშვენება,  
მათრახივით მოქნეული მარჯვე ხელით  
ერთი დარტყმით ლურსმანს დააჭედებდა.*

*მზე იჭრება, ხელისგულთა მწყობრი გუნდიც,  
განგაშია საჰაერო მიჯნაზე,  
ცოცხალ კედელს თუ შეასკდა მლეგი ბურთი,  
უკუიქცეს, დაენარცხოს მინაზე.*

*ფიცხი მცველი ადგილს ირჩევს ჩასაფრების,  
დაძაბული, ყურადღებად ქცეული,  
ასე მამულს თუ იცავდნენ ვაჟკაცები,  
თავდადების ნიჭით გამორჩეულნი.*

*ბურთის გზები, ზიგ ზაგები ჭრელად ელავს,  
ბენვის ხიდზე დასეირნობს ფორტუნა,  
ყველა ღელავს, განურჩევლად ყველა ღელავს,*

*გაიმარჯვებ, სულმა თუ არ გიმტყუნა.*

*თითქოს წყვილი ფურცელია გადაშლილი,  
მოედნების კვადრატები ტოლია,  
ორი ბოძი, ბადე-აფრა ფრთაგაშლილი  
და გრძელდება ფრენბურთის ისტორია.“*

### **შტრიხები პორტრეტის შესავსებად**

**ნონა გაფრინდაშვილი**, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქადრაკში, სეოკ-ის პირველი პრეზიდენტი: „საბედნიეროდ, ჩემს თაობაში ბევრი დიდი სპორტსმენი გვყავდა. მათ შორის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი გახლდათ ვაჟა კაჭარავა.

ოლიმპიურ კომიტეტში მასთან ერთად წლების განმავლობაში მომინია მუშაობამ. მოგეხსენებათ, ძალიან მძიმე წლებში და რთულ პირობებში გვიხდებოდა პირველი ნაბიჯების გადადგმა. მიმდინარეობდა დამკვიდრების უაღრესად რთული პროცესი. გვყავდა ბევრი ხილული და უხილავი მტერი, რომლებიც ფარულად თუ აშკარად გვებრძოდნენ. სახელმწიფო მინიმალურადაც კი არ გვეხმარებოდა. ჩვენს მხრებზე გადაიარა კუპონების პერიოდმა. ამ დროს დიდ დახმარებას გვინევდა ვაჟა კაჭარავას ერუდიცია და პრინციპულობა. მის მიერ ნამოჭრილი საკითხები ყოველთვის გამოირჩეოდა აქტუალობით, რომელსაც თან ერთოდა რთული სიტუაციებიდან გამოსვლის მარტივი გზები. იგი არა მარტო დიდი სპორტსმენია, დიდი პიროვნებაცაა, რომელიც მიზნის მისაღწევად მხოლოდ პატიოსანი გზებით იბრძვის.“

**სტანისლავ ბუინოვი**, თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელი, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონი: „მე და ვაჟა კათოლიკურ ეკლესიაში შევხვდით ერთმანეთს, სადაც იმხანად ფრენბურთელთა დარბაზი იყო. ორი წლით უფროსი იყო ჩემზე. მალე დავმეგობრდით. შეკრებებზე ერთ ოთახში ვცხოვრობდით, გვერდი-გვერდ გვეძინა.


იმთავითვე მიიპყრო ყურადღება, როგორც მოაზროვნე ფრენბურთელმა და ლიდერმა. კარგად მახსოვს, 1955 წელს ბათუმში, საქართველოს პირველობაზე, როგორც საუკეთესო მოთამაშეს, ფოტოაპარატი „ფედი“ აჩუქეს. იმავე წელს სტალინგრადში, მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო.

ვაჟა გუნდის სული და გული გახლდათ. მის წესიერებაზე ლეგენდები დადიოდა. ჩვენ ხანდახან მაინც ვეპარებოდით ალკოჰოლს. მას თითქმის არასოდეს დაუღევიანა.

ვაჟა კაჭარავა განათლებული და კეთილშობილი ადამიანია. მთელი ოჯახი ასეთი იყო. დედა — ქალბატონი შუშანა, მამა — ბატონი სოლომონი და — ქალბატონი ლეილა. ერთმანეთზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. მამამისი თავგადაკლული გულშემატკივარი იყო. ვაჟას მონაწილეობით არასოდეს გაუცდენია თამაში. ისე განიცდიდა, გულშემატკივრები სანახევროდ მას უყურებდნენ.

ვაჟა, გარდა იმისა, რომ დიდი სპორტსმენი იყო, წარმოუდგენლად პატიოსანიც გახლდათ. რა დასამალია და, სპორტში არცთუ იშვიათად ხდებოდა და დღესაც ხდება ჩანცობა-გარიგება. როგორც გუნდის მწვრთნელებთან, ისე მსაჯებთან. ვაჟა ამისგან ძალიან შორს იყო — თავმოყვარეობის შელახვად თვლიდა. საბჭოთა დროს თბილისში ჩატარდა ოთხთა ტურნირი. წარმატების შემთხვევაში, თბილისის „ბურევესტნიკი“ უმაღლეს ლიგაში გადადიოდა. ვაჟას დაუკითხავად მოველაპარაკე როსტოვის სკა-ს მწვრთნელს, ოლიმპიურ ჩემპიონს ვალერი კალაჩიხინს, რომ ორი თამაშიდან ერთი დაეთმოთ. ვალერი დარწმუნებული არ იყო, რომ ორივეს მოგვიგებდა, ჩვენ კი გარკვეულ გარანტიას ვიღებდით. ცხადია, ვაჟას ვუთხარი ჩვენი მოლაპარაკების შესახებ. საშინლად გაბრაზდა. გარიგება, არასპორტული საქციელი მისთვის მიუღებელი იყო. სამწუხაროდ, როსტოვთან ორივე თამაში წაგაგეთ, მაგრამ ვაჟას წუთითაც არ უნანია, რომ ამ გარიგებაზე არ დაგვთანხმდა.


რატიმლაც ხალხში გავრცელებული იყო აზრი — ვაჟა კაჭარავა იმიტომ გადავიდა მოსკოვში, რომ გარკვეული პრივილეგიები ჰქონოდაო. ეს ასე არ არის. მთავარი მიზეზი სხვა გახლდათ — ვაჟას თავდავინწყებით უყ-



ოლიმპიური ჩემპიონები —  
ვაჟა კაჭარავა და  
იური ჩესნოკოვი



ახალდაფუნებული  
საქართველოს ეროვნული  
ოლიმპიური კომიტეტის  
ადმსკომის წევრები.  
მეორე რიგში, მარცხნიდან  
მეორე — ვაჟა კაჭარავა.  
1989 წელი



შვილთან და  
შვილიშვილთან ერთად

სიძე — ვლადიმერ  
სემიონოვი და შვილიშვილი  
— ანასტასია



საჩუქარი  
სანდრა რულოვსისგან

ვარდა თავისი ყოფილი მეუღლე. ამ სიყვარულმა გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. იყო კიდევ ერთი მიზეზი — ოჯახის წევრებს არ უნდოდათ მოსკოველი რძალი. არადა, ვაჟა, რუსულად კარგად გამოითქმის, „ოდნალიუბი“ იყო.

ვაჟამ, თბილისში რომ დაბრუნდა, ყველას გვთხოვა, გვერდში დამიდექითო. თვითონ ხომ ფანატიკოსი იყო — დილიდან სალამომდე დარბაზში ტრიალებდა. სამწუხაროდ, როგორც მწვრთნელს, საქართველოში არ გაუმართლა.

**პაატა ულუმბელაშვილი**, საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი: „ფრენბურთში ვარჯიში დავიწყე ედუარდ ობიტკოსთან და ჟორა სარქისოვთან. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში ლევან სტეპანიანი მავარჯიშებდა. აქედან გადამიყვანეს თბილისის „მშენებელში“, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაში გამოდიოდა. სწორედ ამ გუნდის მწვრთნელი იყო ბატონი ვაჟა კაჭარავა, სპორტსმენი, რომელსაც ფრენბურთის სამყაროში უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა.

ბატონი ვაჟა მაძიებელი, ნოვატორი მწვრთნელი იყო. დავალებებს ისე მარტივად, გასაგებად გვიხსნიდა, რომ არც ერთს არ გვებადებოდა დამატებითი შეკითხვა. გუნდში სრულიად ახალი სტილი დაამკვიდრა. მოიგონა თავდასხმის ეფექტური სისტემა — გამთამაშებლის გარდა, ხუთივე ფრენბურთელი უტევედა. ეს კომბინაცია იმდენად დახვეწილი და დინამიკური იყო, რომ თუ კარგად შევასრულებდით, წარმატების ასპროცენტიანი გარანტია გვქონდა. კაჭარავასეული სტილი ისეთ აღფრთოვანებას იწვევდა, რომ მონინალმდევე გუნდის გულშემატკივართა ნაწილი ხშირად ჩვენ გვგულშემატკივრობდა. ის პრინციპულად წინააღმდეგი იყო, რომ მოთამაშეები საქართველოში სხვა ქვეყნებიდან ჩამოგვეყვანა — ქართულ ფრენბურთს საკმაოდ დიდი რესურსი აქვს იმისთვის, რომ პრობლემები სხვის დაუხმარებლად გადავწყვიტოთ.

იყო ზედმინევნით კორექტული. როგორც არ უნდა გაბრაზებულიყო, შეურაცხმყოფელ სიტყვას არ გაკადრებდა. შექება არ ეხერხებოდა, მაგრამ თუ რაიმე გაახარებდა, სახე ისე გაუბრწყინდებოდა, თვალებში ისეთი სითბო ჩაუდგებოდა, ყველა კომპლიმენტს სჯობდა. ზომიერად მკაცრი

იყო. ვერ იტანდა, როდესაც სპორტსმენი ვარჯიშის დროს ყალთაბანდობდა, იოლ გზებს ეძებდა. ერთხელ ჩემმა თანაგუნდელმა ვარჯიშზე „ლასტოჩკა“ არ შეასრულა — ნანვიმარი იყო და გასვრას მოერიდა. ბატონმა ვაჟამ აიძულა გუბეში ათჯერ გადამხტარიყო.

დღეს, როცა მეც სამწვრთნელო საქმიანობას ვენევი, ვცდილობ, ბატონ ვაჟას გაკვალული გზით ვიარო. მის მიერ შექმნილი თამაშის სტილი იმდენად პროგრესულია, რომ ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალობა.“

**თენგიზ გაჩეჩილაძე**, გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი: „1989 წლის გაზაფხულზე საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეის ხორცშესხმაზე უკვე დაუფარავად ავლაპარაკდით თანამოაზრეები. ეროვნული საქმისთვის ყველაზე გულანთებული ადამიანები მოვიდნენ საინიციატივო ჯგუფის პირველ სხდომაზე. ერთი მათგანის გამოჩენამ პირადად ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ოთახში წელგამართული, ჩვეული მომხიბლავი ღიმილით შემოვიდა მაღალი, სიმპათიური, ათლეტური პიროვნება. ეს გახლდათ ვაჟა კაჭარავა — ოლიმპიური ჩემპიონი ფრენბურთში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვახარა და, რაც მთავარია, გაგვამხნევა, ძალა და რწმენა შეგვმატა მისმა სტუმრობამ. ის პირველია ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონებიდან, ვინც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის ათვლის წუთებიდანვე ბოლომდე მხარში გვედგა. საინიციატივო ჯგუფის მუშაობაში მისი მონაწილეობა ფორმალური არ ყოფილა. არც მხოლოდ სიმბოლური. ჩვენს ნამონყებულ საქმეს უდავოდ შესძინა წონა მისმა ავტორიტეტმა. მერე დრო დადგა, საორგანიზაციო კომიტეტი შეგვექმნა — უკვე სეოკ-ის დამფუძნებელი ყრილობის მოსამზადებლად. ბატონი ვაჟა კვლავ დარჩა ჩვენთან, დარჩა, როგორც დიდი იმედი, რომელიც ასე გვჭირდებოდა. ცხადია, მერე ის ახლად შექმნილი ორგანიზაციის პირველი აღმასკომის წევრადაც აირჩია დამფუძნებელმა ყრილობამ.“

**თემურ გიორგობიანი**, თანაკლასელი: „მე და ვაჟა პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით ვაჟთა მე-12 სკოლაში. სკოლა პლენხანოვზე, მუსკომედიის თეატრის ქვემოთ, მტკვრის სანაპიროზე მდებარეობდა. უბნელები ვიყავით — ვაჟა ტრამვაის ქუჩაზე ცხოვრობდა, მე — გორის ქუჩაზე. თერ-


თმეტი წლის განმავლობაში სკოლაშიც ერთად დავდიოდით. ის მაღალი იყო, მე — დაბალი და ამის გამო სანჩო პანსასა და დონ კიხოტს გვეძახდნენ.

ბავშვები ფეხბურთით ვიყავით გატაცებული. ჩვენი სკოლის გვერდით დიდი მინდორი იყო. პლატოს ვეძახდით. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, თუ ბურთს ვიშოვიდით, საათობით ვთამაშობდით. მტვერში ამოგანგლულები და გახვითქულები ვბრუნდებოდით შინ. ვაჟა ხშირად ცენტრალურ მცველად თამაშობდა. ყველას გვჯობნიდა როგორც ტექნიკით, ისე სპორტული ჟინით. ყველა, ვისაც ვაჟა სტადიონზე უნახავს, ფიქრობდა, რომ ფეხბურთს გაჰყვებოდა და დიდი მომავალიც ექნებოდა. მერე რატომღაც ფრენბურთის სექციაზე გადაწყვიტა სიარული.

ჩემს ეზოში კარგი მოედანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ბევრს ვარჯიშობდა, მე და ჩვენს საერთო მეგობარს ჯიმშერ ლეჟავას გვთხოვდა ხოლმე, მოდით, ერთად ვივარჯიშოთო. დაგვაყენებდა ბადის ორივე მხარეს — ერთს ბურთი უნდა აენია „სატოპკედ“, მეორეს ვაჟას დარტყმული უნდა აელო. დავიღალე და შევისვენოთო — ამის გაგონება არ უნდოდა. სიქას გვაცლიდა.

სკოლა ფრიადზე დაამთავრა. შემდეგ, როცა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ელიტურ — მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა, ნიშნის მიღების პრობლემა არ ჰქონდა. საბჭოთა კავშირში ცნობილ სპორტსმენებს სწავლაში შეღავათს უწევდნენ, მაგრამ ვაჟა ამ პრივილეგიებით არ სარგებლობდა. მოუშაადებელი გამოცდაზე ვერ გავალ, ვერ ვიკადრებ, რაღაც ვილულულულო და თვალეში შევციცინო პედაგოგს, რომ ნიშანი დამინეროსო... 1956 წელს მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში დავინყე სწავლა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 23 წელი იქ ვიცხოვრე. როცა ვაჟა მოსკოვის „დინამოში“ გადმოვიდა, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს, კურსკის ვაგზალთან მისცეს ბინა და ცოლ-შვილთან ერთად იქ ცხოვრობდა. ცხადია, ჩვენი მეგობრობა იქაც გაგრძელდა, ამჯერად ოჯახებით.

ვაჟას მონაწილეობით ყველა მნიშვნელოვან მატჩს ვესწრებოდი. ის კი არ თამაშობდა, ომობდა — ბოლომდე იხარჯებოდა. ძალიან თავმდაბალი



იყო. შეიძლება უცნობს მასთან საღამო გაეტარებინა და ვერ გაეგო, რომ ოლიმპიურ ჩემპიონთან ჰქონდა საქმე. არ უყვარდა საკუთარ თავზე ლაპარაკი: „ეს ვარ, ის ვარ“.

ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: სამოციან წლებში მოსკოვში საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი. ახლობლებმა თბილისიდან ჩამომიტანეს პურ-მარილი. ბანკეტი ინსტიტუტის სასადილოში მოვანყვეთ. ბევრი ადამიანი დაესწრო საზეიმო სუფრას. დარბაზი კი დაგვითმეს, მაგრამ მომსახურების გარეშე. ეს ამბავი რომ გაიგო, ვაჟა სუფრიდან წამოდგა და გამოცდილი ოფიციალტივით მოგვემსახურა. მეორე დღეს ჩემი თანამშრომლები გაკვირვებული მეკითხებოდნენ — ვინ იყო ის წარმოსადეგი, გემოვნებით ჩაცმული კაცი, ჩვენს სუფრას ასე ერთგულად რომ ემსახურებოდაო. მის ვინაობას რომ იგებდნენ, კიდევ უფრო მეტად უკვირდათ — ასეთი მეგობრობა არ გავვიგიაო.

ბევრმა ალბათ არ იცის, რომ ვაჟას მოგონილია, ქულის ალების შემდეგ ფრენბურთელები ხელისგულებით რომ ეხებიან ერთმანეთს. ეს ლამაზი რიტუალი, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, ენერჯის გადაცემისა და დაძაბულობის მოხსნის უებარი საშუალებაა.“

**ლეილა კაჭარავა:** „ჩემს ძმაზე ექვსი წლით უფროსი ვარ. ჩვენმა ბავშვობამ განვლო მყუდრო ქუჩის პატარა ეზოში. ეზოს შუაში დიდი თუთის ხე იდგა. ქუჩის ორივე მხარეს ულამაზესი აკაციები იყო ჩამწკრივებული. ყოველ გაზაფხულზე ეზო უნაზესი სურნელით ივსებოდა.

ვაჟა ბავშვობაში ძალიან სუსტი იყო. რაც კი ამ ასაკში მოზარდს შეიძლება სჭირდეს, ყველა ავადმყოფობა გადაიტანა: ყივანახველა, ქუნთრუშა, მალარია, კუჭის კატარი, ქრონიკული სურდო. თვე არ გავიდოდა, სიცხეს არ ჩაენვინა ლოგინში. სიგამხდრის გამო თანაკლასელებმა „შუშისკაცა“ შეარქვეს. ეს მეტსახელი, ცხადია, მის თავმოყვარეობაზე მოქმედებდა.

ძალიან ბევრს მოძრაობდა, ყოველდღე ეზოში თუ ქუჩაში ფეხბურთს თამაშობდა. დედა უბრაზდებოდა ხოლმე — „საპოშნიკთან“ ისე დავდივარ, როგორც სამსახურში. მაინცდამაინც შენ უნდა გამოკვებო მისი ოჯახიო?

კარგად თამაშობდა ჭადრაკს — ეზოში ყველას უგებდა.

მოგვიანებით, როცა ეზო დაიშალა, ერთი მეზობელი, რომელიც მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, შემთხვევით შემხვდა და მაშინვე ის მკითხა — ვაჟამ ჭადრაკში რა წარმატებებს მიაღწია, დარწმუნებული ვიყავი, სახელოვანი მოჭადრაკე გამოვიდოდაო.

ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამა იყო. თუმცა შეჯიბრებებზე მეც ხშირად დავდიოდი მეგობრებთან ერთად. რამდენჯერმე დედაც წამოვიდა. დედა ძალიან ლელავდა ხოლმე, მაგრამ გარეგნულად არ იმჩნევდა. ერთხელ, მორიგი თამაშის შემდეგ, ვაჟა შინ რომ დაბრუნდა, დედამ ჰკითხა: მწვრთნელს ისე რომ შემოეხვევით, როგორც კრუხს წინილები, რაზე ლაპარაკობთო.

ვაჟა ძალიან პუნქტუალურია. მისთვის პირველი საქმე ყოველთვის ფრენბურთი იყო. ერთხელ, მოსკოვიდან რომ დაბრუნდა, იცოდა, დედა ავადმყოფობდა, მაგრამ ჯერ ვარჯიშზე წავიდა.

ტყუილს და უსამართლობას ვერ იტანს. ერთხელ, ბელორუსიაში, ადგილობრივ გუნდთან შეხვედრის დროს, ბურთი აუტში დაეცა. მსაჯმა ვერ დაინახა და ჩვენებს ჩაუთვალა. დიდი ამბავი ატყდა. მსაჯმა, როგორც გუნდის კაპიტანს, ვაჟას ჰკითხა: შენ რას იტყვიო. ჩემმა ძმამ, მიუხედავად იმისა, რომ მესამე ადგილისთვის იყო ბრძოლა, დაუდასტურა, რომ ბელორუსი ფრენბურთელები მართლები იყვნენ.

1971 წელს მოსკოვში მის ბოლო მატჩს მეც ვესწრებოდი. ცდილობდა მხიარული ყოფილიყო, მაგრამ თვალეში დიდი სევდა ჰქონდა ჩაბუდებული. ამის შემდეგ, როგორც სპორტსმენი, მოედანზე აღარავის უნახავს.“

## ვაჟა კაჭარავა

დაიბადა 1937 წლის 2 იანვარს თბილისში. ფრენბურთელი. თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“ (1955-64) და მოსკოვის „დინამოში“ (1965-71), სსრკ ნაკრებში (1959-67). XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1964, ტოკიო), ევროპის ჩემპიონი (1967) და მესამე პრიზიორი (1963), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1966), მსოფლიოს თასის მფლობელი (1965), უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1963, 65), სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1965), სსრკ ხალხთა სპარტაკიადების ორგზის მეორე (1967, 71) და მესამე პრიზიორი (1963). მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური სასწავლებლის გუნდის და სსრკ ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1976-77), საქართველოს კაცთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1984-94), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, რუსეთის ფედერაციისა და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სეოკის ღირსების ორდენების კავალერი.



## VAZHA KACHARAVA

Volleyball player, was born on January 2, 1937. He played for Tbilisi "Burevestnik" (1955-1964), Moscow "Dynamo" (1965-1971) and for the USSR national combined team (1959-1967). Kacharava was a champion of the XVIII Olympic Games (Tokyo, 1964), champion (1967) and bronze medalist (1963) of Europe, bronze medalist of the world championship (1965), world cup winner (1965), twice champion of the World Students Games (1963, 1965) bronze medalist of the USSR championship (1965), twice silver medalist (1967, 1971) and bronze winner (1963) of the USSR sports and athletics meeting. Kacharava was chief coach of the USSR youth national combined team and the team of Moscow Technical College after N. Baumann (1976-1977), chief coach of the Georgian male national team (1984-1994). He was the Honored Master of Sports and the Honored Coach of the USSR. Kacharava was decorated with Vakhtang Gorgasali Order of 2nd class and Order of Honor of GNOC.